# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 2 თებერვალი 2005 №21 (2344) ფასი 50 თეთრი

# შანსი კარიერის მიწურულს

## ალენ ჟირესი ქართველ მაყურებელს გიორგი ქინქლაძეს აჩვენებს



ალენ ჟირესმა სალიტვოდ ეროვნულ გუნდში 31 წლის გიორგი ქინქლაძეს უხმო, ვისაც 2003 წლის სექტემბრის შემდეგ ნაკრებში არ უთამაშია. ქინქლაძე ახლა კვიპროსულ „ანართოსისში“ გამოდის, სადაც 13 მატჩი ითამაშა და 2 გოლი გაიტანა, „ანართოსისამდე“ კი წელიწადზე მეტი უგუნდოდ იყო. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, ქინქლაძეს 58 შეხვედრა უთამაშია და 8 გოლი შეუგდია.

— საუკეთესო ფორმაში ჯერ არ ვარ, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ, ორ ტაიმს უპრობლემოდ ვუძლებ.

— ახლა ისეთ ნაკრებში მოგიწევს თამაში, სადაც შენი ადრინდელ თანაგუნდელები აღარ იქნებიან, თუ აკაკი დევაძეს არ ჩავთვლით — ეს ფაქტორი რაიმე უხერხულობას ხომ არ შეგიქმნის?

— არანაირად, ყველა ფეხბურთელი მონდომებული იქნება, თავი საუკეთესოდ წარმოაჩინოს — მწვრთნელსაც ამ შეხვედრაში მხოლოდ შედეგი არ აინტერესებს, ფეხბურთელების საქმეში ნახვაც სურს.

— ჟირესმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა, დღეს კლასიკური ათი ნომრებით გუნდები აღარ თამაშობენო — „ანართოსისში“ ამ პოზიციაზე თამაშობ?

— ვერ ვიტყოდი, რომ „ანართოსისში“ მთლად კლასიკური ათი ნომერი ვარ, ჩვენ 4-3-3 სქემით ვთამაშობთ.

— „ანართოსისში“ რომ დაიწყე თამაში, თქვი, ეს ნაბიჯი ყველაზე უფრო იმიტომ გადავდგი, რომ ნაკრებში დაბრუნება მინდაო...

— მოხარული ვარ, ნაკრებში კვლავაც რომ გამომიძახეს. არ მინდა, კარიერა ისე დავასრულო, რომ ნაკრებში ჩემი სიტყვა კიდევ არ ვთქვა.

დავით თავართქილაძე



# ჯამარაული ისევ დინამოელია

ეს ამბავი გუშინ გადაწყდა და ისიც გაირკვა, რომ გოჩა „დინამოს“ მარბელას ტურნირზე სათამაშოდ და მოსამზადებლად გაჰყვება. ეს უკვე მეორე ამბავია, რომ ყოფილი დინამოელი „დინამოს“ უბრუნდება — ჯამარაულამდე „დინამომ“ საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე შეიმატა.

# მანჩესტერმა არსენალს ჰაიბერიზე შეუბერა




## წარმატება, რომელსაც არავინ ელოდა

კესტას მიმბუტაძი სპეციალურად „სარბიელისთვის“

3

# ჟირესმა საბონისს ახედა

## ფრანგმა სექტემბერში ადრიანო დაინახა, შარშან ასათიანი



**საქართველოს** ნაკრები 9 თებერვალს ლიტვას ეთამაშება. ეს მატჩი ამხანაგურია და, რა თქმა უნდა, ალენ ჟირესმაც იდროვა და ის შემადგენლობა გამოიძახა, ექსპერიმენტული რომ ეთქმის.

ჟირესმა სალიტვოდ რჩეულნი ორი კვირის წინაც ჩამოთვალა, მაგრამ მას შემდეგ შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა და გუშინ უკვე ის 19 ფეხბურთელი დაგვისახელა, რომლებსაც ლიტვასთან ათამაშებს.

— პირველ ყოვლისა, საქართველოს ნაკრების სახელით მსურს მივუსამძიმრო ლადო ბურდულს. მისი ტრაგედია მთლიანად ნაკრების ტრაგედიაა და მთელი გუნდი ლადოს გვერდითვართ — ასე დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა.

— ლიტვასთან ამხანაგური მატჩისთვის არ გამოვიძახეთ გერმანიაში, შოტლანდიასა და იტალიაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები. უკვე წარმოდგენილი მაქვს ნაკრების ბირთვი და ამჟამად ახლების გასინჯვა მსურს. თუმც გეტყვით, რომ საქართველოს ეროვნული გუნდის სულისკვეთება და სტრატეგია იგივე იქნება, რაც აქამდე იყო.

...ნაკრები ლიტვასთან მატჩისთვის კვირას, 12 საათზე შეიკრიბება, თუმც იქნებ ამ დროისთვის სრული შემადგენლობა არც იყოს. 9 თებერვალი ამხანაგური მატჩების დღეა, მაგრამ გუნდები ახლა შეკრებაზე არიან. კარგი იქნებოდა, ნაკრებისა და კლუბების მოსამზადებელი ეტაპების კალენდარი წინასწარ შეთანხმებული ყოფილიყო.

...ასათიანი ლიტვასთან მატჩისთვის იმიტომ გამოვიძახეთ, რომ მისი გუნდი ამჟამად არ თამაშობს. გერმანიაში, შოტლანდიაში და იტალიაში კი ჩემპიონატებია და იქ მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა ნაკრებში მოწვევისგან თავი შევიკავეთ. ჯერ ერთი, მათ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და მერე მეორე, არ გვსურდა ეს ფეხბურთელები თბილისში ერთი დღით ჩამოგვეყვანა. გახსოვთ, დანიასთან მატჩის წინ რამდენიმე ლეგიონერმა ნაკრებთან ერთად სულ ერთხელ ივარჯიშა.

...არ ვიცი ასათიანზე დასაკვირვებლად „ჩელსის" მზირები ჩამოდიან თუ არა, მაგრამ ერთს კი ვიტყვი — ვისაც ასათიანის საქმეში ნახვა სურს, საამისოდ ლიტვასთან მატჩი ვერ გამოადგება. ისე კი, რომელიმე გუნდი ასათიანით თუ დაინტერესდება, დარწმუნებული ვარ, არ ინანებს.

...ლიტვასთან მატჩისთვის ქინქლაძის გამოძახება ნუ გაგაკვირვებთ. ამ ფეხბურთელის გამოცდილება საკმარისია საიმისოდ, რათა ის ამხანაგურ მატჩში ვნახოთ და მის ამჟამინდელ ფორმას დავაკვირდეთ. ოდიკაძეს კი, ალბათ ყველა დამეთანხმებით, ბოლო დროს საოცარი პროგრესი აქვს და ნაკრებში გამოძახებას იმსახურებს. საერთოდ კი, ვინც ლიტვასთან მატჩისთვის გამოვიძახე, ყველას მომზადების დონე მაინტერესებს.

...ლიტვის ნაკრებზე ის, ვიცი, რომ ბალტიისპირელებს რამდენიმე ისეთი ლეგიონერი ჰყავთ, რომლებიც ძლიერ უცხოურ გუნდებში თამაშობენ. ვიცი, რომ ლიტვა განთქმულია კალათბურთით და საბონისით. თუმც, მეტოქე როგორ თამაშობს, ეგ ჩემთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. მთავარია, საქართველოს ნაკრები როგორ ითამაშებს. ლიტვას საქართველო, შემადგენლობის მიუხედავად, სათანადოდ უნდა დახვდეს.

...საქართველოს ნაკრებთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე პირველად მესმის. ჩემთვის ეს არავის უთქვამს. ისე კი, ხელთ მაქვს უეფას ჟურნალი, სადაც ევროპული ქვეყნების რეიტინგია მოცემული, საქართველო 30-ა. გამოდის, რომ ჩვენმა ნაკრებმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ცხრა საფეხურით მაღლა აიწია. თუ ასე გავაგრძელებთ, 2007 წლისთვის მე-12 ადგილზე ვიქნებით. მოდით, ამ თემაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

...კითხვაზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს თუ გავაგრძელებ, გპასუხობთ: რატომაც არა?!

...„დინამო" ესპანეთში 3 იანვარს მიემგზავრება, მაგრამ შაშიაშვილი და კვირკველია თბილისში დარჩებიან. შევხვდი „დინამოს" წარმომადგენლებს და მათ თავად თქვეს, ეს ფეხბურთელები ესპანეთში არ მიგვყავსო. რაც შეეხება სალუქვაძეს, ის გუნდთან ერთად წავა, 5 იანვარს ითამაშებს და მერე ჩამოვა.

...სასიხარულოა, რომ გამოჩნდა კიდევ ერთი პერსპექტიული ქართველი ფეხბურთელი. მოსკოვის „ლოკომოტივის" მათე ღვინიანიძე ამჟამად საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული და მას დავაკვირდებით.

...გოგა გახოკიძის თამაშზე დასაკვირვებლად მივავლინე გია გურული და სწორედ მისი რეკომენდაციით გამოვიძახე ის ნაკრებში. სამწუხაროა, რომ გოგა დაშავდა, მაგრამ ეს არაფერი, მას ნაკრებში თამაშის შანსი კიდევ ბევრჯერ ექნება. გახოკიძე კარგი ფეხბურთელია.

...ფიფას საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი ანკეტა სექტემბერში მივიღე და პირველ ნომრად ადრიანო დავასახელე. რატომ? ალარც მახსოვს. ადრიანომ სექტემბერში ძალიან კარგად ითამაშა და მეგონა, ფიფა თვის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებდა. მერეღა გავიგე, რომ ფიფა წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვას ატარებდა. არადა, სექტემბერში ადრიანო მართლაც საუკეთესო იყო.

***მეკარეები:*** *აკაკი დევაძე (თბილისი), გიორგი ლომაია (ხიმკი, რუსეთი);*
***მცველები:*** *კახა მჟავანაძე (ანჟი, რუსეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო, კიევი, უკრაინა), ლაშა სალუქვაძე (დინამო, თბილისი), გიორგი შაშიაშვილი (დინამო, თბილისი), გივი კვარაცხელია (თბილისი), დავით ოდიკაძე (თბილისი);*
***ნახევარმცველები:*** *ლევან მღრაძე (ქსანთი, საბერძნეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), დავით კვირკველია (დინამო, თბილისი), ალექსანდრე კოვბერიშვილი (უგუნდოდ), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), გოგიტა გოგუა (თბილისი), გიორგი ქინქლაძე (ანართოსისი, კვიპროსი);*
***თავდამსხმელები:*** *გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი უკრაინა), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ვასილ გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), მიხეილ აშვეთია (ლოკომოტივი, რუსეთი)*

**კობა ინასარიძე**

საფეხბურთო კლუბი
თბილისის „ლოკომოტივი"
თანაუგრძნობს
ლადო ბურდულს
მეუღლის
მედეა მახარაძის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის
ფედერაცია ღრმა
მწუხარებას გამოთქვამს
ეროვნული ნაკრების წევრ
ლადო ბურდულის
მეუღლის
გარდაცვალების გამო

საფეხბურთო კლუბი
თბილისის „ლოკომოტივი"
თანაუგრძნობს
სერგო კოტრიკაძეს
შვილის
დავით კოტრიკაძის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის
ფედერაცია
თანაუგრძნობს
რამაზ შენგელიას
სიმამრის
შალვა ბაბუნაშვილის
გარდაცვალების გამო

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები



# ჰანს-პეტერ ბრიგელი საუკრაინოდ დაირაზმა

### ალბანეთი

**ალბანეთი** შინაურ კედლებში როგორ თამაშობს, ეს საქართველოს ნაკრებს რამდენჯერმე გამოუცდია საკუთარ ტყავზე. ალბანელები ახლა მეტისმეტად დიდ გულზე არიან, რადგან შესარჩევი ჯგუფის ოთხ მატჩში ექვსი ქულა მოაგროვეს და გულის სიღრმეში იქნებ, მუნდიალზე გასვლისაც სჯერათ. მით უმეტეს, 9 თებერვალს ჰანს-პეტერ ბრიგელის ბიჭები ანდრეი შევჩენკოს გარეშე დარჩენილ უკრაინას მასპინძლობენ და, ცხადია, მოგებას გეგმავენ.

ბრიგელმა საუკრაინო 22-კაციანი შემადგენლობა უკვე გამოაცხადა. ამ სიას მხოლოდ გერმანიის მეორებუნდესლიგელი „ობერჰაუზენის" მცველი ადრიან ალიაი აკლია — მას ტრავმა აქვს. სალსალამათები არც ახმახი მთავარმეგოლე იგლი ტარე და ნახევარმცველი ბესნიკ ჰასი არიან, თუმც ბრიგელმა ისინი მაინც გამოიძახა — 9 თებერვლამდე როგორმე გამოკეთდებიანო. ბრიგელის კრებული კი ასეთია:

***მეკარეები:*** *ფოტო სტრაკოშა (პანიონიოსი, საბერძნეთი), ილიონ ლიკა (დინამო), არიან ბექაი (იონიკოსი, საბერძნეთი);*
***მცველები:*** *გერი ჩიპი, ელვის სინა (ორივე ტირანა), სუად ლიცი (ვლაზნია), ტეფიკ ოსმანი, არმენდ დალკუ (ორივე ელბასანი), ლორიკ ჩანა (პსჟ, საფრანგეთი), ბლენდი შკემბი (ინკერი, ხორვატია);*
***ნახევარმცველები:*** *ბესნიკ ჰასი (ანდერლეხტი, ბელგია), ამარილდო ბელიშა (ვლაზნია), კლოდიან დური, ერვინ შკელა (ორივე არმინია, გერმანია), ალტინ ჰაჯი (კალამარია, საბერძნეთი), ედვინ მურატი (ირაკლისი, საბერძნეთი), დევი მუკა (ტირანა), ალტინ ლალა (ჰანოვერი, გერმანია);*
***თავდამსხმელები:*** *ალბან ბუში (ისთანბულსფორი, თურქეთი), ალტინ რაკლი (ტირანა), იგლი ტარე (ბოლონია, იტალია), ერიონ ბოგდანი (ვერონა, იტალია).*

# ოლსენის საქლინო ოცეული



### დანია

**9 თებერვალს** მორტენ ოლსენის დანია საბერძნეთს სტუმრობს და ეს უდავოდ ერთ-ერთი საკვანძო მატჩია ჩვენს ჯგუფში.

„დინამიტები" ევროპის ჩემპიონებთან ვერ ათამაშებენ ტრავმირებულ მცველ მარტინ ლაურსენსა და ელვასავით გარემარბ იესპერ გრონკიაერს, რომლებსაც არც თბილისში უთამაშიათ საქართველოს ნაკრებთან. დანარჩენები კი ოლსენს მწყობრში ჰყავს და არცერთი დებიუტანტის გამოძახება არ დასჭირვებია.

დანიელთა 20-კაციანი სია:

***მეკარეები:*** *თომას სორენსენი (ასტონ ვილა, ინგლისი), პეტერ სკოვ-იენსენი (ბოხუმი, გერმანია);*
***მცველები:*** *კასპერ ბოგელუნდი (პსვ, ჰოლანდია), თომას ჰელვეგი (ნორვიჩი, ინგლისი), ნიკლას იენსენი (დორტმუნდი, გერმანია), პერ კროლდრუპი (უდინეზე, იტალია), სტივენ ლუსტუ (ლინი, ნორვეგია), ბრაიან პრისკე (გენკი, ბელგია);*
***ნახევარმცველები:*** *თომას გრავესენი (რეალი, ესპანეთი), კლაუს იენსენი (ფულემი, ინგლისი), დანიელ იენსენი (ვერდერი, გერმანია), კრისტიან პოულსენი (შალკე, გერმანია), თომას რასმუსენი (ჰანზა, გერმანია), მარტინ რეტოვი (ბრონდბიუ), დენის რომედალი (ჩარლტონი, ინგლისი);*
***თავდამსხმელები:*** *იონ დალ ტომასონი (მილანი, იტალია), მორტენ სკოუბო (ბრონდბიუ), კენეტ პერესი (ალკმაარი, ჰოლანდია), პეტერ მადსენი (ბოხუმი, გერმანია).*

**ილია ნანობაშვილი**

# წარმატება, რომელსაც არავინ ელოდა

*ლიტვის ნაკრების მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი ბოსნია-ჰერცეგოვინასთან 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას ძალების ჩინებულ შემოწმებას უწოდებს. გეცოდინებათ, ლიტველები თბილისში 9 თებერვალს თამაშობენ, ბოსნიელებს კი 30 მარტს დაუხვდებიან*



ალგიმანტას ლიუბინსკასს ლიტვაში საკუთარი პრინციპების ერთგულ კაცად იცნობენ

**კესტას გიმბუტასი**
*„ლიეტუვოს ზინიოსი"*
*საგანგებოდ „სარბიელისთვის"*

## ყველაფერი ბელგიაში დაიწყო

„თბილისში ძალიან სასარგებლო მატჩი გველის. საქართველოს და ბოსნიის ნაკრებები ხომ რაღაცით მსგავს ფეხბურთს თამაშობენ. ორივეს ტექნიკური, კომბინაციური სტილი უყვარს, ასეთ გუნდებთან ბრძოლა კი ჩვენ განსაკუთრებით გვიძნელდება" — თქვა ლიუბინსკასმა.

მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში სადღეისოდ ლიტვა მეორე ადგილზეა. ოთხ შეხვედრაში გუნდმა 8 ქულა მოიპოვა და ერთხელაც არ წაუგია, თუმცა წარმატებული დასაწყისის წინაპირობა, ერთი შეხედვით, წინასწარ სულაც არ ჩანდა — შარშან ლიტვის ნაკრებმა ზედიზედ ხუთ ამხანაგურ შეხვედრაში იწვნია მარცხი.

მეორე მხრივ, გუნდის თამაში უიმედო მაინც არ იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, შესარჩევი ციკლის პირველივე მატჩში, ბელგიაში დამარცხების შემთხვევაში ლიუბინსკასს თანამდებობის დატოვება მოუწევდა. საბედნიეროდ, შარლერუაში ბალტიელებმა ძალიან კარგად ითამაშეს და — 1:1.

ამას მოჰყვა დამაჯერებელი გამარჯვება კაუნასში სან მარინოსთან (4:0) და ფრე ვილნიუსში ესპანეთთან (0:0). თანაც ესპანელებთან შეხვედრაში გამარჯვება უმალ ლიტველებს შეეძლოთ, ვიდრე მათ სახელოვან მოწინააღმდეგეს.

წელიწადი კი სან მარინოში 1:0 გამარჯვებით დასრულდა.

## ლიუბინსკასი 8 წლის შემდეგ დაბრუნდა

ალგიმანტას ლიუბინსკასმა ლიტვის ეროვნული გუნდი რვაწლიანი განშორების შემდეგ, 2003 წლის მარტში ჩაიბარა. მანამდე იგი 21-წლამდელებს ედგა სათავეში, მაგრამ ვინაიდან ბენჟამინას ზელკიავიჩიუსმა ნაკრებში მუშაობას რუსეთის პირველლიგელ „ბალტიკაში" გადასვლა ამჯობინა, თანამდებობის ჩაბარება ლიუბინსკასს მოუხდა. ბარემ აქვე დავძენთ, რომ ზელკიავიჩიუსი ამჟამად ლატვიაში, ლიეპაიას „მეტალურგსში" მუშაობს.

ლიუბინსკასის დაბრუნება ტრიუმფალური გამოდგა — ევრო 2004-ის შესარჩევ შეხვედრაში ლიტვამ გერმანიასთან სენსაციური 1:1 ითამაშა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ შინ 1:0 დაამარცხა შოტლანდია. ამ ორმა შედეგმა განაპირობა ის, რომ ქომაგებმა პორტუგალიაში გამგზავრების შანსზე ხმამაღლა დაიწყეს საუბარი, მაგრამ ყველა იმედს ცივი წყალი შინ ისლანდიასთან 0:3 დამარცხებამ გადაასხა.

ნაკრებში მიბრუნებულმა მწვრთნელმა გუნდში რეფორმები წამოიწყო. კერძოდ, მცველებმა ერთ ხაზზე დაიწყეს თამაში, რაც ლიუბინსკასის წინამორბედის აზრით, ლიტველთათვის მიუღებელი იყო. ზელკიავიჩიუსი ამის მიზეზად სათანადო ოსტატობის მქონე მცველების არყოლას ასახელებდა.

მაგრამ ლიუბინსკასმა თავისი პრინციპი დანერგა და მას ერთხელაც არ უღალატა იმ პერიოდშიც კი, როცა გუნდს ზედიზედ მოეცარა ხელი.

დღეს 53 წლის ლიუბინსკასი ლიტვის ნაკრების წვრთნასა და ვილნიუსის მუნიციპალიტეტში სპორტის განყოფილების ხელმძღვანელობას ერთმანეთს უთავსებს. ნაკრებში მისი თანაშემწე ქვეყნის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ვალდას ივანაუსკასია, რომელიც რამდენიმე თვეა, ლიტვის ბოლო ექვსი წლის ჩემპიონს „FBK კაუნასსაც" უდგას სათავეში.

სხვათა შორის, თავის დროზე ალგიმანტას ლიუბინსკასი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელიც კი იყო — ვილნიუსის „ჟალგირისი" 31 წლისამ ჩაიბარა.

## სტაუჩე ნაკრებიდან წავიდა

ლიუბინსკასის აზრით, დღეს ნაკრების მთავარი პრობლემა ისაა, რომ უცხოურ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირთ, თუმც თბილისში მას ახალბედა არავინ მოჰყავს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ გუნდს მეკარის მოულოდნელი პრობლემა ემუქრებოდა — სანაკრებო კარიერა დაასრულა მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კაპიტანმა გინტარას სტაუჩემ, რომელმაც გადაწყვიტა, მთელი ენერგია მხოლოდ კლუბს, ლატვიურ „იურმალას" დაუთმოს, მაგრამ შთაბეჭდილება გაქარწყლდა, რადგან სტაუჩეს შემცვლელმა, მოსკოვის დინამოელმა ჟიდრუნას კარჩემარსკასმა თითქმის ყველა მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა.

ნაკრების ახალ კაპიტნად კი აურელიუს შკარბალიუსი აირჩიეს — მცველი, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში დანიურ „ბრონდბიუში" გამოდიოდა, ცოტა ხნის წინ კი წელიწადნახევრიანი იჯარით „ჰერფიოლგეში" გადავიდა.

შკარბალიუსი მარცხნივ თამაშობს, მარჯვენივ კი იტალიურ სერია A-ში გამოჩენილი პირველი ლიტველი, ბრეშელი მარიუს სტანკევიჩიუსი გამოდის.

დაცვის ცენტრი შოტლანდიური „დანფერმლაინის" ანდრიუს სკერლასა და რუსული „მოსკვას" როლანდას იაუკშტასს აბარიათ.

შედარებით მწირი არჩევანია ნახევარდაცვაში. მოსკოვის ცსკა-ს მცველი, ნაკრებში საყრდენი შუახაზელი დეივიდას შემბერასი ოთხთვიანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ თამაშობდა, ხოლო მოსკოვისვე ლოკომოტიველმა დეივიდას ჩესნაუსკისმა გერმანიაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა...

სამაგიეროდ, მარცხენა ფრთაზე თავი უმცროსმა ჩესნაუსკისმა, ედგარასმა გამოიჩინა. ეს ფეხბურთელი პანევეჟისის „ეკრანასიდან" ერთი წლის წინ კიევის „დინამომ" შეიძინა.

დაცვიდან ნახევარდაცვის შუაში წარმატებით ათამაშდა ნერიუს ბარასა, რომელიც ვლადიკავკაზის „ალანიაში" გამოდის. ყოჩაღობს „კაუნასის" ორი წარმომადგენელიც — ანდრიუს ჟედგაუდასი და შაულიუს მიკალაიუნასი. ჟედგაუდასი 2004 წელს ლიტვური ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ნახევარდაცვის ორივე ფრთაზე წარმატებული მიკალაიუნასი, ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდად ითვლება. მას იანვარში ჩინებული დებიუტიც ჰქონდა ედინბურგის „ჰარტსში", რომლის მთავარი აქციონერიც „კაუნასის" მეპატრონე ვლადიმირ რომანოვია. მასვე ეკუთვნის ბელარუსული კლუბი მტც-რიპო.

რომანოვის საფეხბურთო იმპერიის გენერალური დირექტორი გახლავთ ანატოლი ბიშოვეცი, სწორედ ის, შარშან საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი რომ იყო.

## იანკაუსკასის გვალვა დასრულებულია

ახლა კი თავდამსხმელებზეც: მიმდინარე შესარჩევ ციკლში ედგარას იანკაუსკასმა უკვე სამი გოლი გაიტანა — მან თავი ბელგიასა და სან მარინოსთან (ორჯერ) გამოიჩინა. არადა, ბელგიელებთან შეხვედრის წინ იანკაუსკასს უგოლობისგან ნამდვილი „გვალვა ედგა": 1997 წლის 30 აპრილის ლიხტენშტაინთან თამაშის შემდეგ გოლი ვერ გაეტანა.

იანკაუსკასი „პორტუს" ფეხბურთელია, თუმც ამ სეზონის წინ პორტუგალიელებმა იგი ფრანგულ „ნიცას" ათხოვეს და ისიც საფრანგეთში მოთამაშე პირველი ლიტველი შეიქნა.

მანამდე იანკაუსკასი გამოდიოდა ესპანეთში, კერძოდ, „რეალ სოსიედადში" და, როგორც უკვე ვთქვით, პორტუგალიაში — „პორტუმდე" ის ლისაბონის „ბენფიკის" ფეხბურთელი გახლდათ.

2004 წელს ედგარას იანკაუსკასი მეხუთედ გახდა ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი, რაც ლიტვის რეკორდია. მან გაასწრო ოთხგზის საუკეთესოებს, არმინას ნარბეკოვასს და ვალდას ივანაუსკასს.

თავდასხმაში იანკაუსკასის მუდმივი პარტნიორი რობერტას პოშკუსია (სამარის „კრილია სოვეტოვი"). ის შარშან ბრწყინვალე ფორმაში იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ოქტომბერში ავარიაში მოხვდა — მშობლიური კლაიპედიდან ნაკრების შეკრებაზე ვილნიუსში მიიჩქაროდა, რათა ესპანელებთან თამაშისთვის მომზადებულიყო — გზად საჭე ველარ დაიმორჩილა და ხეს შეასკდა. მანქანა ჯართში ჩასაბარებელი გახდა, პოშკუსს კი გაუმართლა — თავის ტვინის შერყევა და რამდენიმე უმნიშვნელო დაზიანება აკმარა.

იტალიური „ლივორნოს" სათადარიგო ფორვარდმა ტომას დანილევიჩიუსმა (რამდენიმე წლის წინ ლონდონის „არსენალშიც" გამოდიოდა) კი აგრესიული სტილით მოთამაშე პოშკუსის შეცვლა ვერა და ვერ შეძლო.




ლიტველთა ლიდერი ედგარას იანკაუსკასი

*მეკარეები: ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო, რუსეთი), გიტის პადიმანსკასი (სუდუვა);*
*მცველები: მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ანდრიუს სკერლა (დანფერმლაინი, შოტლანდია), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმსტადი, შვედეთი), რონალდას იაუკშტასი (მოსკოვი, რუსეთი), აურელიუს შკარბალიუსი (ჰერფიოლგე, დანია), დარიუს ჟუტაუტასი (კაუნასი), იგნას დედურა (სპარტაკი, რუსეთი);*
*ნახევარმცველები: დეივიდას ჩესნაუსკისი (ლოკომოტივი, რუსეთი), ედგარას ჩესნაუსკისი (დინამო, უკრაინა), ნერიუს ბარასა (ალანია, რუსეთი), დეივიდას შემბერასი (ცსკა, რუსეთი), დონატას ვენცევიჩიუსი (ვილნიუსი), ანდრიუს ჟედგაუდასი (კაუნასი), შაულიუს მიკალაიუნასი (კაუნასი), აურიმას კუჩისი (ეკრანასი);*
*თავდამსხმელები: ედგარას იანკაუსკასი (ნიცა, საფრანგეთი), რობერტას პოშკუსი (კრილია, რუსეთი), ტომას დანილევიჩიუსი (ლივორნო, იტალია), ტომას რაძინევიჩიუსი (სუდუვა)*



ალბერტო დუალიბი და ბადრი პატარკაციშვილი საქმეზე გადადიან

# დინამო ბრაზილიას მიაწვა

## კორინთიანსმა თბილისელებს მწვრთნელი დაუთმო

**გეხსომებათ**, თბილისის „დინამომ“ და ბრაზილიურმა „კორინთიანსმა“ შარშან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომ გააფორმეს.

თბილისში ბრაზილიური გრანდის პრეზიდენტი ალბერტო დუალიბი ჩამოვიდა ბადრი პატარკაციშვილს სტუმრობდა. ბრაზილიელებს პატარკაციშვილთან ჯერ ოფიციალური შეხვედრა ჰქონდათ, მერე „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზას ესტუმრნენ, იქაურობა დაათვალიერეს და მემორანდუმიც გააფორმეს. მერე კი, პრესკონფერენციაზე, პრეზიდენტებმა აღნიშნეს, დღესხვალ არა, მაგრამ მალე ჩვენი თანამშრომლობის რეალურ შედეგს ნახავთო.

ეს „მალეც“ დადგა: ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია, რომ „დინამოს“ ბრაზილიელი ფიზმომზადების მწვრთნელი ეყოლება. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბრაზილიელი თბილისში ორ-სამ კვირაში, „დინამოს“ მარბელას საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ ჩამოვა და მუშაობას დაიწყებს.

„დინამოს“ პრეს-სამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, გამორიცხული არ არის, გუნდი ამ სეზონშივე სოლიდური ბრაზილიელი ფეხბურთელებითაც გაძლიერდეს, რაც კლუბის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის გეგმის — „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგაში უნდა ითამაშოს — რეალური დასაწყისი იქნება.

მოკლედ, „დინამო“ და „კორინთიანსი“ საქმეს შეუდგნენ, დანარჩენს კი ვნახავთ...

**კობა ინასარიძე**

# პაჭელო ისევ ბათუმის კაცია

**18 წლის** ფორვარდი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე დაუბრუნდა „ბათუმს“, სადაც ჩემპიონატის პირველი წრე ითამაშა და გოლებიც ბლომად შეაგდო. „პაჭელო“ „თბილისს“ ჰყავდა ზღვისპირეთში განათხოვრებული, ზამთრის შესვენებაზე კი დროებით დაიბრუნა და მოსკოვში, თანამეგობრობის თასზეც ათამაშა.

ახლა კი გიორგი ისევ „ბათუმშია“ და, როგორც თავად ამბობს, ჩემპიონატს ალბათ უფრო აჭარულ კლუბში ჩაამთავრებს: „ბათუმში კარგად ვარ, არაფერზე მწყდება გული. რაც შეეხება სამარის „კრილია სოვეტოვის“ ვარიანტს, იქ გადასვლა ჯერ არ გამორიცხულა, ამ საკითხზე ჩემი მენეჯერი მამუკა ჯუღელი მუშაობს და ვნახოთ, როგორ წავა საქმეები“.

აქვე შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ „ბათუმი“ თურქულ „ხოფასფორს“ გაეჯიბრა ამხანაგურად და 0:1 დამარცხდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ასათიანმა ვიკინგები დააფრთხო

## სიომინის პროგრესი: ტაიმი წინ, ტაიმი უკან

**ესპანურ** შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და ნორვეგიულ „ტრომსიოსთან“ 0:1 დამარცხდა.



ამ მატჩში ჩვენთვის საინტერესო ის იყო, რომ ქართველ მალხაზ ასათიანს დაცვაში არ უთამაშია — იური სიომინმა ჩვენებურს საყრდენობა დაავალა და შეტევებში ჩართვაც მოსთხოვა. შედეგად ასათიანმა სხვებზე მეტი თავსატეხი გაუჩინა ნორვეგიელ მცველებს — ჩვენებური ყველაზე სახიფათო იყო და რამდენიმე რეალური მომენტიც შექმნა, თუმც მათგან ერთიც ვერ გამოიყენა.

ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა და ამდენი უიღბლობის მერე მოსკოველები დაისაჯნენ — დმიტრი სენიკოვმა საკუთარ საჯარიმოში იუხეშა და იარსტმა პენალტი ზუსტად დაარტყა.

ეს 37-ე წუთზე მოხდა, ასათიანს კი კვლავაც მიეცა გატანის შანსი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულს არ გაუმართლა — „ტრომსიოს“ კარის დარაჯმა უძნელესი ბურთი აუღო.

შესვენებაზე სიომინმა მცველი სენიკოვი შეცვალა და ასათიანმაც უკან დაიხია, დაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი. ლოკომოტიველები თამაშის გადარჩენას შეეცადნენ და 74-ე წუთზე მიხეილ აშვეთიაც შეუშვეს მოედანზე, თუმც გოლი ვერა და ვერ გაიტანეს. რკინიგზელთა მესამე ქართველ მათე ღვინიანიძეს არ უთამაშია, სათადარიგო იყო.

მოსკოვში დაბრუნებამდე „ლოკომოტივი“ ერთ მატჩსაც ჩაატარებს ასევე ნორვეგიულ „ვოლერენგასთან“.

**კახა ზალამბერიძე**

# ვასოს გოლ-გოლობა



**სიმფეროპოლის** „ტავრიას“ ფორვარდი ვასილ გიგიაძე მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ყირიმელებმა ზამთრის შესვენებაზე ხუთი ტესტ-მატჩი გამართეს და გიგიაძემ ყველა შეხვედრაში თითო გოლი დაფიცებულივით გაიტანა. თანაც, ჩვენიანის გოლები „ტავრიას“ მასზე გაცილებით უკეთესი გუნდების ძლევაში ეხმარება. ამ დღეებში ვასომ სიმფეროპოლელებს ჯერ რუსულ „შინიკთან“ 1:0 მოაგებინა, შემდეგ კი ავსტრიულ „ადმირასთანაც“ (2:0) შეაგდო.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის გიგიაძე 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგური მატჩისთვის ალენ ჟირესმაც იხმო და ეს მისი პირველი მიწვევაა საქართველოს ნაკრებში. ძნელია იმის თქმა, რამდენად გამოადგება ვასო ნაკრებს, მაგრამ „ტავრია“ რომ მისგან ძალიან ხეირშია, ფაქტია.

**ილია ნანობაშვილი**

# აბრამიძემ ფეროელებს მოუგო

**ანთალიურ** შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ რუსეთის პირველლიგელ „ხიმკისთან“ 0:1 წააგო. რუსებმა იმერულ კლუბთან მეორე შემადგენლობა გაიყვანეს, რომელშიც ვალერი აბრამიძეც თამაშობდა. რაც შეეხება გიორგი ლომაიას, მან „ხიმკის“ პირველ შემადგენლობაში „როსტოვის“ წინააღმდეგ ითამაშა და მშრალადაც შეინახა კარი — „ხიმკიმ“ 2:0 მოიგო.

ზესტაფონელებზე კი იმას ვიტყვით, რომ მიჯრით მეოთხე ტესტ-მატჩი წააგეს ანთალიაში. შეგახსენებთ, რომ ხორვატიის ჩემპიონ „ჰაიდუკთან“ 1:2 მარცხის მერე თემურ მახარაძის ბიჭები სერბულ „ვოივოდინასთან“ (1:3) და ვორონეჟის „ფაკელთან“ (2:3) დამარცხდნენ. დღეს კი ფეროელებმა რუსეთის პრემიერლიგელ ყაზანის „რუბინთან“ უნდა ითამაშონ.

**ილია ნანობაშვილი**

## თქვენი ინტერვიუ

## ლევან კობიაშვილთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია



*ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის“ მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს“ შუახაზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის“ საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 10-დან 18-საათამდე (შაბათის გარდა), მიუთითეთ თქვენი გვარ-სახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# რას იტყვის საზოგადოება, რას იტყვის მთავრობა?

## სიმპათიური თბილისი დამთავრდა

**საქართველოს** ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა „თბილისმა“ მთელი გუნდი ტრანსფერზე დააყენა — ეს გუშინაც გაუწყეთ, მაგრამ რა იქნება შემდეგ? სწორედ ამის შესახებ ვესაუბრეთ კლუბის მესვეურებს.

მაგრამ საქმის არსი და ვითარება ისედაც ნათელია. „თბილისი“, როგორც ყველა ქართული კლუბი, არარენტაბელურია და მისმა ხელმძღვანელობამაც არარენტაბელურობასა და სხვა პრობლემებს ვეღარ გაუძლო — სახელმწიფო საფეხბურთო კლუბებს არანაირ შეღავათს არ აძლევს, მეტიც, კლუბის მეპატრონეთა ბიზნესს აფერხებს — „თბილისის“ მეპატრონეთა სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სფერო სათამაშო ბიზნესია და თუ რა „სიურპრიზები“ მოუმზადა სახელმწიფომ სამორინეებსა და ტოტალიზატორებს ახალი საგადასახადო კოდექსით, „სარბიელმა“ ამის შესახებ არაერთხელ გაუწყათ.

„მთელი გუნდი ტრანსფერზე რომ დავაყენეთ, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, ძირითადი კი ისაა, რომ 5-6 ფეხბურთელს გუნდში ვერანაირად ვეღარ ვაკავებდით. ამდენი მოთამაშე კი გუნდის ბირთვია და ჩვენც მათი გაშვება გადავწყვიტეთ. რაკიან ბირთვს ვუშვებდით, დანარჩენებიც აღარ დავაკავეთ. როცა „თბილისი“ შევქმენით, აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდაზე გავაკეთეთ, მაგრამ მერე მეტი ამბიცია გაგვიჩნდა და არჩეულ სტრატეგიას, ცოტა არ იყოს, გადავუხვიეთ. ახლა „თბილისი“ საქართველოს თასის ნახევარფინალისტია, ხოლო ჩემპიონატში მესამე ადგილზეა — გუნდის აქამდე არსებული შემადგენლობით რომელიმე ევროსაგზურს აუცილებლად მოვიპოვებდით, მაგრამ ეს გვაიძულებდა, კიდევ მეტი თანხა ჩაგვედო გუნდში. ასეც რომ გვექნა, საბოლოო ჯამში მაინც არაფერი შეიცვლებოდა. თუ მთლიანად საქართველოში არ შეიცვალა გარემო, არაფერი გამოვა“ — გვითხრა „თბილისის“ პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ.

„თბილისის“ შვიდი ფეხბურთელი უკვე თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს — ბექა შეყრილაძე, რევაზ გეწაძე, ზაალ ელიავა, სერგო ორბელაძე, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, დავით ოდიკაძე და გოგიტა გოგუა.

კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე შედგა და გადაწყდა, რომ გოგუას გარდა ყველა ტრანსფერით გადავა „დინამოში“, ხოლო გოგუა იჯარით. თუ როგორ და რა თანხაზე შეთანხმდნენ ამ ფეხბურთელებზე „თბილისი“ და „დინამო“, ჯერ კონფიდენციალურია, კლუბები ამას არ ახმაურებენ.

გოგუა ლიტვასთან 9 თებერვლის მატჩში ეროვნულ ნაკრებშია მიწვეული, მაგრამ, როგორც „თბილისის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გვითხრა, გოგუათი მხოლოდ ამსტერდამის „აიაქსი“ კი არა, სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი.

„თბილისს“ სატრანსფეროდ საინტერესო სხვა ფეხბურთელებიც ჰყავს. პირველ რიგში, ეს გოჩა ხოჯავაზე ითქმის. ის, რევაზ ქემოკლიძე და გივი კვარაცხელია ამ დროისთვის უგუნდოდ არიან და ინდივიდუალურად ვარჯიშობენ.

„გული ძალიან გვწყდება, ასე რომ მოხდა, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდით. კლუბის ბიუჯეტი 3-5 მილიონ დოლარამდე უნდა გაგვეზარდა, რათა ფეხბურთელები შეგვენარჩუნებინა, გავძლიერებულიყავით და ევროტურნირზე სირცხვილი არ გვეჭამა. სახელმწიფო ჩვენ არანაირ შეღავათს არ გვაძლევს, ფეხბურთელების გაყიდვით კი კლუბის შენახვა შეუძლებელია. თუ სახელმწიფო გვერდში არ დაგვიდგება, ფეხბურთი საქართველოში მოკვდება. ამ საქმეს აზერბაიჯანში უკვე მოაბეს თავი, ჩვენთან კი საშველი ჯერ არ ჩანს“ — ამბობს გუგეშაშვილი.

„თბილისი“ 1987-89 წლებში დაბადებული ფეხბურთელებით გააგრძელებს საქართველოს ჩემპიონატში და თასზე გამოსვლას. „თბილისი“ მესამე ადგილზეა და უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრება. კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს, მხოლოდ საკუთარი ფეხბურთელებით გავიდეს ფონს — „თბილისს“ რამდენიმე ასაკობრივი გუნდი ჰყავს და როცა 1987-89 წლებში დაბადებულები წამოიზრდებიან, მათ ადგილს „თბილისის“ პირველ გუნდში კვლავ ჭაბუკები დაიკავებენ.

აი, ასეა საქმე — საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე სიმპათიური გუნდი, ფაქტობრივად, ხელიდან გამოგვეცალა და თბილისის „დინამო“ ამის ხარჯზე ძლიერდება. რას იტყვის საზოგადოება, რას იტყვის მთავრობა?

**დავით თამართქილაძე**






# სტადიონები ზამთარს უძლებენ

*საქართველოს ჩემპიონატის განახლებამდე ორ კვირაზე ოდნავ მეტი დარჩა და კლუბებიც გაგანია სამზადისში არიან. ზოგი საქართველოში ვარჯიშობს, ფინანსურად ცოტა მოფერიანებულები კი უცხოურ შეკრებაზე არიან და ტესტ-მატჩებს არ იკლებენ. ზამთრის ძილს არც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა მისცემია — მის ხელმძღვანელობას ზოგიერთი გახრიოკებული სტადიონი და ჩვენი კლუბების სხვა ათასგვარი გასაჭირი აფიქრებს, თუმც ნელ-ნელა საქმე უკეთესობისკენ მიდისო, ამბობს პროფლიგის გენერალური მდივანი რევაზ ლორთქიფანიძე, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ.*

— უმაღლესი ლიგის მონაწილე საქართველოს კლუბების ყველა სტადიონი დავათვალიერეთ. გარდა ამისა, შევამოწმეთ გორისა და მცხეთის სტადიონებიც. მეგონა, უფრო უარესი სურათი დაგვხვდებოდა, თუმც ზამთრის კვალობაზე მინდვრების მდგომარეობა ნორმალურია. სხვებთან შედარებით, „ზესტაფონის“ გაზონია დასაწუნი, თუმც იქ სამუშაოები მიმდინარეობს. მცხეთასა და გორში გასახდელები სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია, მაგრამ ამ საქმესაც ეშველება. ყოველ შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ მუშაობა მიდის და ადგილობრივ ხელისუფლებას ფეხბურთის გასაჭირი ანაღვლებს. უბრალოდ, ეს იყო წინასწარი დათვალიერება, 10 თებერვალს კი კომისია შეამოწმებს სტადიონების მდგომარეობას.

**— პროფლიგამ სეზონის წინ კლუბებისგან ფინანსურ გარანტიები მოითხოვა, რაც „რუსთავმა“ და „ქობულეთმა“ ვერ დააკმაყოფილეს. იგივე პრობლემა ახლა უმაღლესი ლიგის სხვა კლუბებსაც შეექმნათ და ხომ არ ჯობდა, ფინანსური გარანტიები ზამთრის შესვენებაზეც მოგეთხოვათ?**

— არა, რატომ?! იგივე ბოლნისის „სიონს“ თანხის პრობლემა კი ჰქონდა, მაგრამ იქ ხელმძღვანელობა შეიცვალა და, როგორც ვიცი, საქმე უკეთესობისკენ მიდის. არც „ბათუმში“ და გორის „დილაში“ იყო დალხენილი მდგომარეობა, თუმც მონდომებულები არიან და მჯერა, ჩემპიონატს დალაგებულ ვითარებაში შეეგებებიან.

**— ამას წინათ ითქვა, რომ მომავალი სეზონიდან თუ არა, 2006-2007 წლების ჩემპიონატში მაინც უმაღლეს ლიგაში ულიცენზიო კლუბები არ დაიშვებიან. სფფ-ის ლიცენზირების კომიტეტში განაცხადეს, რომ ამ საქმეს პროფლიგასთან ერთად ითავებენ...**

— კლუბებისგან ლიცენზიისთვის საჭირო მინიმალური საბუთებს მალევე მოვითხოვთ გარდა უმაღლესლიგელებისა, რეკომენდაციას გავუწევთ იმ კლუბებსაც, რომლებიც პირველ ლიგაში ლიდერები არიან და უმაღლესში გადასვლის შანსი აქვთ. ესენი არიან: „ამერი“, „ბორჯომი“, „სპარტაკი“ და, შესაძლოა, „კახეთიც“.

**— ახლო მომავალში პროფლიგას ახალი სპონსორი ხომ არ შეემატება?**

— შესაძლოა, ერთი სპონსორი დაგვემატოს, თუმც ჯერ ვერ დავასახელებ. ისე კი, ძლიერ კომპანიაზეა საუბარი.

**— თქვენი პროექტებიდან აშკარად გაამართლა კომპიუტერულმა თამაშმა „ჩვენი ფეხბურთი“. ახალი პროექტები თუ გაქვთ გეგმაში?**

— „ჩვენი ფეხბურთი“ საკმაოდ ძვირი პროექტია, თუმც მიზანში მოვარტყით და უკვე ჩანს, რომ ჩემპიონატს პოპულარობა შეემატა. ჩვენ რამდენიმე სიახლის დანერგვაც გვსურს და პირველ რიგში ლატარიაზე ვფიქრობთ, რაც ევროპაშიც მიღებული პროექტია. რაც მთავარია, ლატარიის მონაწილე პირი აუცილებლად სტადიონზე უნდა იყოს და მატჩს ესწრებოდეს. ეს კი ჩვენი უპირველესი მიზანია — გულშემატკივარი უნდა დავაბრუნოთ სტადიონზე. მერწმუნეთ, ეს რომ მოხდება, ჩემპიონატის დონეც შესაბამისად აიწევს.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბელამი სელტიკს წავიდა

## სუნესმა უელსელს ჯიბრი დაადევნა



**არავითარი** „ბირმინგემი“ და არავითარი „მიდლსბრო“, არც ის 6 მილიონი გირვანქა, „ნიუკასლს“ რომ უნდა აეღო. კლუბი ბოლომდე მაინც ვერ შეელია კრეიგ ბელამის და უკეთეს დროთა ჩამოდგომამდე, 6 თვით გააქირავა.

გუშინწინ, სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, ბელამი გლაზგოს „სელტიკის“ თავდამსხმელი გახდა. ორშაბათს, ვარჯიშზე მისულ უელსელს ნიუკასლელები ცივად შეხვდნენ, თუმცა, უკვე შუადღით ფეხბურთელს შეატყობინეს, რომ შოტლანდიურ გოლიათს მისი ქირაობა სურდა და იქ მას ძველი ნაცნობი, ასევე უელსელი ჯონ ჰართსონი ელის.

„როცა „სელტიკის“ დარი კლუბი ინტერესდება შენით, ცხადია, გიხარია. მენეჯერ მარტინ ონილსა და მის თანაშემწეს სტივ უოტფორდს კარგად ვიცნობ — თქვა ბელამიმ — საერთოდ კი, ჯერაც აზრზე ვერ მოვსულვარ, რა დამემართა. ახლა ვერ ვხვდები, რომ „ნიუკასლში“ აღარ ვარ“.

მოკლედ, „სელტიკმა“ ნახევარმილიონიანი ქირა გადაიხადა და უელსელს კვირეულ ხელფასსაც, 45 ათას გირვანქასაც შეუნარჩუნებს.

„კი, ახლა რთულ დღეშია — აღიარა მარტინ ონილმა — მაგრამ საკმარისია ორიოდე გოლი შეაგდოს და სკანდალიც ყველას დაავიწყება“.

გრემ სუნესმა კი „სენტ ჯეიმს პარკიდან“, ასეთი სიტყვები დაადევნა ბელამის: „ის ვერასოდეს ითამაშებს ჩემს ხელქვეით. „ნიუკასლის“ მენეჯერად ჩემი დანიშვნის წუთიდან ის ჯიბრში მედგა“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ვენგერმა კოხტად გამოლანძღა

## ეშლი მართალი კაციაო



ეშლი კოული არსენ ვენგერმა შეაქო

**„ჩელსისგან“** ეშლი კოულის საიდუმლოდ გადაბირების სკანდალი გრძელდება. „არსენალი“ ბობოქრობს, ჟოზე მაურინიუ შემოვლითი გზებით მუშაობსო.

უკვე ბევრს სჯერა, რომ გასულ ხუთშაბათს მაურინიუ და პიტერ კინიონი, აგენტ პინი ზაჰავისთან კოულს შეხვდნენ და „ჩელსიში“ გადასვლა შესთავაზეს.

„ჩელსის“ პასუხისმგებელმა შეფმა, კინიონმა არც უარყო და არც დაადასტურა ეს ამბავი, მაურინიუმ კი თქვა, მე იმ დროს მილანში ვიყავიო.

ამასობაში არსენ ვენგერმა „ჩელსი“ კოხტად გამოლანძღა: „ეშლი წესების პატივისცემელი კაცია, რასაც „ჩელსიზე“ ვერ ვიტყვი. მე მგონია, რომ ეს შეხვედრა შედგა. ეშლის ბრალეულობა აქ არ არის. თუ „ჩელსის“ მისი ყიდვა უნდა, ჩვენ უნდა დაგვირეკოს და მე ვეტყვი, რომ კიდევ ორ წელიწადს ჩვენთან იქნება. მე ეშლისთვის არაფერი მიკითხავს. აზრიც არა აქვს. ის არ იტყვის, რომ ამ შეხვედრაზე იყო. მან თქვა, რომ მთლიანად „არსენალშია“ და წასვლა არც უფიქრია. ეს საკმარისია, რადგან ეშლი არასოდეს იტყუება. ინიციატივა მათგან მოდიოდა და ლიგამ ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# აი, სეირი: კოუსეირუ!

## პორტუმ ფერნანდესის შემცვლელი სეტუბალში იპოვა



ვიქტორ ფერნანდესი ჟოზე კოუსეირუმ შეცვალა

**ევროპის** ჩემპიონთა თასის მფლობელ პორტუგალიურ „პორტუს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — გუშინწინ საღამოს დათხოვნილი ესპანელის, ვიქტორ ფერნანდესის გამოთავისუფლებული სკამი ჯერ გაციებულიც არ იყო, გუშინ რომ პატრონი გამოუჩნდა.

„პორტუს“, სეტუბალის „ვიტორიას“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი ჟოზე კოუსეირუ გაწვრთნის.

ფერნანდესი კი, ზემოთაც გითხარით, წინა დღით გაუშვეს. კვირას, „დრაგაუზე“, „ბრაგასთან“ 1:3 განცდილმა მარცხმა „პორტუს“ ქომაგები განარისხა და სტადიონზე შეკრებილმა ხალხმაც ჟოზე მაურინიუს დაბრუნება მოითხოვა.

კლუბის პრეზიდენტმაც ფანების ზეწოლას რომ ვეღარ გაუძლო, ვიქტორ ფერნანდესი — რომელიც კონტრაქტის თანახმად „დრაგაუზე“ 2006 წლის ივნისამდე უნდა დარჩენილიყო — ჟორჟე პინტუ ნუნუ და კოშტამ კაბინეტში იხმო. იქვე ამცნო მიღებული გადაწყვეტილებაც.

ფერნანდესმა გადადგომისა თუ გადაყენების მერე მედიას ლაკონურად უთხრა: „მხოლოდ გაკვირვებული ვარ, მაგრამ არა გულდაწყვეტილი“.

და, „პორტუს“ უკვე ახალი მწვრთნელი ჰყავს. 42 წლის ჟოზე კოუსეირუსთვის ევროჩემპიონთა მოულოდნელად გაწვრთნის ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. კოუსეირუს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ ამიერიდან გუნდის აღიარებული ლიდერების — ვიტორ ბაიას, ჟორჟე კოშტას, მანიშე რიბეირუს, ფრანსისკო კოშტინიას, ბენი მაკკარტისა თუ დიეგოს დამოძღვრა მოუწევს.

ჟოზე კოუსეირუმ კლუბთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფინანსური მხარე გუშინდლამდე ჯერაც უცნობი იყო.

ამრიგად, ჟოზე მაურინიუს წასვლის შემდეგ იგი მესამეა, წლეულს „დრაკონებს“ რომ უთავკაცებს — ჯერ ლუიჯი დელ ნერი იყო, მერე ვიქტორ ფერნანდესი. ახლა კი...

**ლადო ხომერიკი**



# ვალერი ბოჟინოვი იებს ფლორენციაში მოკრეფს

## ლეჩე 13 მილიონად დაიხურა

**ზამთრის** სატრანსფერო ფანჯარა გუშინწინ დაიხურა და...

ახალგაზრდა ბულგარელ ვარსკვლავ ვალერი ბოჟინოვს სად აღარ უწინასწარმეტყველებდნენ გადასვლას, ლეჩელი ყმაწვილი „იუვენტუსს“, „ჩელსის“ და „ბარსელონას“ სურდათ, მან კი მოულოდნელად თავი ფლორენციაში ამოჰყო.

„ლეჩედან“ „ფიორენტინაში“ ახალგადასულმა ბოჟინოვმა პირველად ეს თქვა: „არასოდეს დავივიწყებ „ლეჩეს“, სადაც 13 წლისა მივედი და ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი. მადლობელი ვარ კლუბის, მწვრთნელების, თანაგუნდელების და გულშემატკივრების, რომლებიც ყოველთვის მეხმარებოდნენ. „ფიორენტინა“ ჩემთვის ახალი, უფრო მაღალი საფეხურია და ვფიქრობ, თავის გამოჩენის მეტი შანსი მექნება“.

ზემოთაც გითხარით, 18 წლის ვალერი ბოჟინოვს ჩელსელობას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის დახურვისას 13 მილიონი ევროს სანაცვლოდ იგი „ფიორენტინაში“ აღმოჩნდა. არადა, „ლეჩე“ ამტკიცებდა, ზაფხულამდე არსად გავუშვებთო.

„ძალიან გვსურდა მისი დატოვება, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ“ — დაიჩივლა ლეჩელთა პრეზიდენტმა რიკო სემერარომ.

„ყოველთვის ვცდილობდი ახალგაზრდა ფეხბურთელების გადმოყვანას, რომლებიც სამომავლოდ კარგ გუნდს შექმნიან — განაცხადა სემერაროს ფლორენციელმა კოლეგამ, დიეგო დელა ვალემ — ბოჟინოვის შეძენა ამ გეგმის საფუძველია და ფულიც ამიტომ არ დაგვნანებია“.

გარდა ბულგარელი ფორვარდისა, „ფიორენტინამ“ იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების ორი მოთამაშე — ჯამპაოლო პაცინი და მარკო დონადელიც დაიმატა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არ გავცვლი მე ჩემს რეალსა

## სესარს მარადიულობა შესთავაზეს

**მადრიდის** „რეალმა“ სათადარიგო მეკარე სესარ სანჩესს კონტრაქტის განახლება შესთავაზა.

სესარმა წლეულს კასტილიელთა ძირითადში ოდენ სამეფო თასის მატჩები ითამაშა, თუმც, როგორც მადრიდული „ასი“ გვამცნობს, იკერ კასილიასის ჩრდილში მუდმივად მყოფი, ახლანდელი კონტრაქტის დასრულების შემდეგაც (2005 წლის 30 ივნისი), ისევ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ყოფნას არჩევს.

ერთი სიტყვით, რა და როგორ გადაწყდება, ალბათ მალე შევიტყობთ. იმას კი შეგახსენებთ, რომ სესარი „რეალმა“ „ვალიადოლიდისგან“ 100 მილიონ პესეტად შეიძინა და ყოველწლიურად 1,5 მილიონ ევროს ხელფასად უხდის.

**ლადო ხომერიკი**



## იტალია

ვაჟა ხუციშვილი

# ძოფის პირველი ფლორენციული

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ინტერი | : | ატალანტა |
| ლაციო | : | ბრეშა |
| სიენა | : | კალიარი |
| უდინეზე | : | კიევო |
| მესინა | : | მილანი |
| ფიორენტინა | : | პალერმო |
| ბოლონია | : | პარმა |
| ლივორნო | : | რეჯინა |
| ლეჩე | : | რომა |
| იუვენტუსი | : | სამპდორია |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 21 | 15 | 5 | 1 | 38:12 | 50 |
| მილანი | 21 | 12 | 6 | 3 | 35:14 | 42 |
| ინტერი | 21 | 7 | 14 | 0 | 41:27 | 35 |
| უდინეზე | 21 | 10 | 4 | 7 | 28:21 | 34 |
| რომა | 21 | 9 | 6 | 6 | 40:32 | 33 |
| სამპდორია | 21 | 9 | 5 | 7 | 22:17 | 32 |
| რეჯინა | 21 | 8 | 6 | 7 | 20:21 | 30 |
| პალერმო | 21 | 7 | 8 | 6 | 19:15 | 29 |
| კალიარი | 21 | 8 | 5 | 8 | 28:33 | 29 |
| ლეჩე | 21 | 7 | 7 | 7 | 37:38 | 28 |
| ბოლონია | 21 | 7 | 6 | 8 | 21:20 | 27 |
| მესინა | 21 | 7 | 6 | 8 | 26:32 | 27 |
| ლივორნო | 21 | 7 | 5 | 9 | 24:28 | 26 |
| კიევო | 21 | 6 | 7 | 8 | 20:29 | 25 |
| ლაციო | 21 | 6 | 5 | 10 | 28:33 | 23 |
| ფიორენტინა | 21 | 5 | 8 | 8 | 20:25 | 23 |
| პარმა | 21 | 5 | 7 | 9 | 21:32 | 22 |
| სიენა | 21 | 3 | 10 | 8 | 16:28 | 19 |
| ბრეშა | 21 | 5 | 4 | 12 | 15:28 | 19 |
| ატალანტა | 21 | 1 | 8 | 12 | 15:29 | 11 |

**„ბოლონიასთან“** მარცხის შემდეგ „მილანი“ ტურინის „იუვენტუსს“ რვა ქულით ჩამორჩა და თან ანდრეი შევჩენკო დაუშავდა. კარლო ანჩელოტის გუნდი „მესინას“ უკრაინელი ფორვარდის გარეშე ჩააკითხავს და მწვრთნელიც შეტევაში კრესპოტომასონის წყვილს გაამწესებს, დაცვაში კი დისკვალიფიკაციამოხდილი ალესანდრო ნესტა დაბრუნდება.

„მესინამ“ წინა ტურში სტუმრად „რომა“ ანერვიულა, რადგან 2:0-ს უგებდა, მაგრამ საბოლოოდ 2:3 წააგო. ბორტოლო მუტის გუნდმა ამ სეზონში ათი საშინაო მატჩიდან ექვსი მოიგო და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. ასე, რომ „მილანს“ კვლავაც რთული მატჩი ელის, თუმც სერია A-ში ხომ იოლად მოსაგები თამაშები იშვიათია.

„იუვენტუსი“ „დელე ალპიზე“ „სამპდორიას“ ტრავმირებულ პაველ ნედვედს ვერ დაახვედრებს. ჯონათან ძებინა დასჯილია, ხოლო მანუელე ბლაზიმ დისკვალიფიკაცია მოიხადა და შესაძლოა, ითამაშოს.

„სამპდორიას“ კრისტიანო დონი ჰყავს დაშავებული, სიმონე ინძაგის კი ზედმეტი ყვითელი ბარათები მოუგროვდა და შეხვედრას ამიტომ გამოტოვებს.

„ფიორენტინა“ დინო ძოფის ხელქვეით პირველ საშინაო მატჩს „პალერმოსთან“ გამართავს. ზედიზედ ორი მატჩია „იები“ მარცხდებიან — ჯერ „რომასთან“ სათასო მატჩი წააგეს სტუმრად, შემდეგ კი ასევე გასვლაზე „კალიარასთან“ შერცხვნენ. ფლორენციელებს განსაკუთრებით შეტევაში უჭირდათ და ეს პრობლემა ბულგარელი ვალერი ბოჟინოვის შეძენით მოაგვარეს. მასპინძლებს ლუკა არიატი და ფაბრიციო მიკოლი დაუბრუნდათ, ტომაშ უიფალუში და ენცო მარესკა კი ჯერჯერობით ისევ მკურნალობენ.

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ „ლაციო“ მეთხუთმეტე ადგილზე დაეშვა და დღეს „ბრეშას“ ხვდება, რომელიც ჩემპიონატის დაწყებიდანვე ქვედა სამეულში ბუდობს.

„ლაციოს“ ორი დისკვალიფიცირებული ვერ დაეხმარება — ჯულიანო ჯანიკედა და სეზარი. სამაგიეროდ, გუნდს უსმან დაბო და ანტონიო ფილიპინი შეეშველებიან. რაც ეეხება რომაელთა ლაზარეთს — ძაური, მუცი, ლივერანი და პაოლო დი კანიო ექიმებს ჩააბარეს.

„სიენას“ ახალ მწვრთნელ ლუიჯი დე კანიოს გუნდში მისვლის დღიდან ჯერ მატჩი არ მოუგია და ეგებ ნავსი „კალიარისთან“ გატეხოს. თავად „კალიარი“ სტუმრად ძალიან სუსტად თამაშობს და ბოლო სამ გასვლით შეხვედრაში გოლიც არ გაუტანია.

„რეჯინა“ საკმაოდ მოყოჩაღდა და მეშვიდე საფეხურზეც წამოსკუპდა, მას შემდეგ, რაც ბოლო ხუთ ტურში თერთმეტი ქულა მიითვალა. გუნდის მწვრთნელი ვალტერ მაცარი „ლაციოსთან“ წინა შეხვედრაში დისკვალიფიკაცის გამო ტრიბუნაზე ბრძანდებოდა, დღეს კი კუთვნილ ალაგს დაუბრუნდება და შეგირდებს ლივორნოში მოედნის კიდიდინ დაარიგებს. „ლივორნომ“ ათი დღის წინ შინ „მილანს“ სძლია და, ცხადია, „რეჯინასთანაც“ გამარჯვება სწადია.

კარლო მაცონეს „ბოლონია“ „პარმას“ დაუხვდება, რომელიც ცხრილის ქვემოდან ზევით აბობღებას ლამობს. ბოლონიელებს კვლავ არ ეყოლებათ ალბანელი იგლი ტარე, ხოლო სტუმრებს დომენიკო მორფეო.

„ინტერისგან“, ბერგამოს „ატალანტას“ რომ მასპინძლობს, ყველაფერია მოსალოდნელი და რობერტო მანჩინის გუნდის მეთხუთმეტე ფრეც არ გაგიკვირდეთ. „შავ-ლურჯები“ ტრავმირებული ადრიანოსა და ალვარო რეკობას გარეშე იქნებიან, თუმც ობაფემი მარტინსი და კრისტიან ვიერი შეტევას ითავებენ.

„უდინეზემ“ მიაყოლა და ზედიზედ სამჯერ წააგო, რამაც მესამე ადგილიდან მეოთხეზე ჩამოაქვეითა. უდინელები „კიევოს“ ხვდებიან, რომელმაც წინა გასვლით მატჩში „ინტერს“ ქულა აართვა.

რაც შეეხება „რომას“, ბოლო დროს ლუიჯი დელ ნერის გუნდმა მოგებებს მოუხშირა და ამიტომაც აღმოჩნდა მეხუთე ადგილზე. ტოტი, მონტელა და კასანო ჯანზე არიან და უბოჟინოვო „ლეჩესაც“ ცხადია, თავსატეხს არ გამოულევენ.



დღეს დინო ძოფი „ფიორენტინას“ „არტემიო ფრანკიზეც“ გაიყვანს

# ვალტერის თოფი ბირმინგემში გაისვრის

## პანდიანი ბრიუსს შეეხიზნა




**გალისიური** „დეპორტივოს“ ურუგვაელი ფორვარდი ვალტერ პანდიანი სეზონის ბოლომდე „ბირმინგემში“, მწვრთნელ სტივ ბრიუსის გუნდში იჯარით წესით ითამაშებს.

ოკეანისგაღმელი მოიერიშე ხავიერ ირურეტას გუნდიდან თითქოს იტალიურ სერია A-ში უნდა გადასულიყო, თუმც „ფიორენტინამ“ ბულგარელ ვალერი ბოჟინოვთან შეთანხმება გადაწყვიტა და ლაკორუნიელებმაც პანდიანიც საბირმინგემოდ გაამწესეს.

„დეპორტივოს“ ხელმძღვანელობა მედიასთან საიჯარო ხელშეკრულების ეკონომიკურ მხარეზე ჯერჯერობით არ საუბრობს, ურუგვაელმა კი თავისას მიაღწია — ფეხბურთელს სურდა, სხვა გუნდში ეცადა ბედი, რადგან პანდიანი „დეპორის“ მწვრთნელ ირურეტასთან უბრად იყო, ძირითადიდან ამომაგდოო.

„პანდიანი ჩემთან მოვიდა და გუნდიდან გაშვება მთხოვა, „ბირმინგემს“ ვუნდივარ და ნუ დამაკავებთო. ცხადია, მეც და ირურეტამაც ვიცოდით, რომ მას „დეპორტივოდან“ წასვლა დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაწყვეტილი. ვფიქრობ, ვალტერისთვის ძალიან სასარგებლო გადაწყვეტილება მივიღეთ. პანდიანის გულით ვუსურვებ წარმატებებს“ — აცხადებს აუგუსტო სესარ ლენდოირო, „დეპორტივოს“ პრეზიდენტი.

მისივე თქმით — მიუხედავად იმისა, რომ ურუგვაელის წასვლის შესახებ წინასწარ იცოდნენ — პანდიანის შემცვლელის ძებნას კლუბი არ დაიწყებს, ისედაც ძლიერი ფორვარდები გვყავსო.

ბოლოს კი შეგახსენებთ, ვალტერ პანდიანი, იგივე „რიფლი“ (თოფი) „ესტადიო რიასორზე“ ხუთი სეზონის მანძილზე ბურთაობდა და „დეპორტივოსთვის“ არაერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის გოლი გაუტანია.

**ლადო ხომერიკი**

*საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა კრისტოფ დიუგარიმ ბუცები ლურსმნებზე ჩამოკიდა. მსოფლიოს 1998 და ევროპის 2000 წლების ჩემპიონი რიგით მერვეა მათ შორის, ვინაც ჟაკესეულ „ლურჯებში“ თამაშობდა და ახლა კარიერა დაასრულა. გასულ თვეში ქაცვები კედელზე ემანუელ პეტიმაც მიაყუდა, რადგან სეზონის დასაწყისიდან უქმად იყო*

# დიუგარიმ ფეხზე გაიხადა

## დამეღალა, დასვენება უნდაო

„გადაწყვეტილება ხუთი-ექვსი დღის წინ მივიღე — განაცხადა დიუგარიმ — ლისაბონის „ბენფიკამ“ შემომთავაზა კონტრაქტი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ვეღარ ვითამაშებდი, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად საკმაოდ მაცდური წინადადება იყო“.

საფეხბურთო კარიერაში „სამფეროვანთა“ მაისურა მან 55-ჯერ მოირგო, თუმც ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არასდროს ჰქონია.

„ნაკრებში შვიდი წელი გავატარე, იქ თამაში ყოველთვის მძიმე იყო, თავი კომფორტულად არასოდეს მიგრძვნია“ — თქვა ფრანგმა.

კრისტოფ დიუგარის სანაკრებო დებიუტი 1994 წელს, ავსტრალიასთან 1:0 მოგებულ ამხანაგურ მატჩში შედგა, ხოლო 1998 წლის მუნდიალის პირველივე შეხვედრაში სამხრეთ აფრიკასთან (3:0) პირველი გოლი შეაგდო, მერე დაშავდა და მხოლოდ ბრაზილიასთან ფინალისთვის დაბრუნდა.

„ჩემი კარიერით კმაყოფილი ვარ, რადგან მუდამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობდი“ — დასძინა ბოლოს დიუგარიმ, რომელმაც პროფესიული კარიერა 1988 წელს „ბორდოდან“ დაიწყო, შემდეგ კი „მილანში“, „ბარსელონაში“, „ბირმინგემსა“ და ყატარის ერთ-ერთ კლუბში გამოდიოდა.

**ვაჟა ხუციშვილი**






ფრანჩესკო ტოტიმ და ფაბიო კაპელომ ერთმანეთი ისევ გამოლანძღეს

# ინტერის გულუხვობამ ლაციო ვერ აცდუნა

## სეზარი? გადაიხადეთ მეტი!

*მილანის „ინტერმა" ხელახლა წამოიწყო „ლაციოსთან" მოლაპარაკება ბრაზილიელი სეზარის გადასაბირებლად.*

*რომაელებმა „ნეროაძურის" ამასწინანდელი, 700 ათას გირვანქიანი შეთავაზება უარყვეს, მაგრამ მერე ახალი შეთავაზება მიიღეს*

მოკლედ, ახლა მილანელები ნახევარმცველში 1,8 მილიონ გირვანქას იხდიან და გორან პანდევის კონტრაქტით მისაღები თანხის დარჩენილ ნაწილზეც უარს ამბობენ. მოგეხსენებათ, პანდევი „ინტერს" „ლაციოში" იჯარით ჰყავს გაშვებული და რომლის საფასურიც ჯერ ბოლომდე არ აქვს მიღებული.

წინა შეთავაზებასთან შედარებით „ინტერის" ახალი ინიციატივა მეტისმეტად გულუხვია, მაგრამ „ლაციო" ჯერჯერობით არც ამას თანხმდება. პანდევის კონტრაქტით დარჩენილი თანხა და 2,5 მილიონი გირვანქაო — ასეთია ლაციოელთა მოთხოვნა. მოლაპარაკება კი გრძელდება.

სატრანსფერო მოლაპარაკებებში სხვა კლუბებიც არიან ჩართულნი. ასე მაგალითად, „ლეჩეს" კრისტიან ლედესმასთვის „იუვენტუსი" და „ფიორენტინა" ებრძვიან ერთმანეთს. საქმე იქითკენ მიდის, რომ გამარჯვება ფლორენციელებს დარჩებათ.

ბოლოს კი ისევ „ინტერს" მივუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ მილანელებმა ლისაბონის „ბენფიკადან" ხუთ მილიონ გირვანქად ბრაზილიელი მცველი ლუიზაო იყიდეს, ოღონდ ფეხბურთელი „სან სიროზე" მხოლოდ ივნისში ჩავა.

**ირაკლი ნინიძე**



სეზარი ზაფხულამდე უეჭველად „ლაციოში" ითამაშებს

# ტოტი უკვე გასახდელში იყო

„**რომას**" კაპიტანსა და ლიდერს, ფრანჩესკო ტოტისა და „იუვენტუსის" შეფს, ფაბიო კაპელოს შორის ახალი ურთიერთლანძღვის რაუნდი დაიწყო. შეგახსენებთ, რომ კაპელო „ჯალოროსის" მწვრთნელის თანამდებობიდან გასულ ზაფხულს წავიდა.

რაუნდი, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ, ტოტიმ „კორიერე დელო სპორტის" ფურცლებზე გახსნა. კერძოდ, როდესაც ვარსკვლავს „რომას" ახალგაზრდული და საყმაწვილო გუნდების სტრუქტურასა და ხარისხზე ჰკითხეს, მან ასე მიუგო:

„კლუბის საყმაწვილო სტრუქტურის განვითარებას ბევრი ადამიანი იჩემებს, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ერთი ადამიანის, კოორდინატორ ბრუნო კონტის დამსახურებაა. კონტისთან ერთად ამ საქმეში მასთან ერთად მომუშავე ადამიანებს მიუძღვით წვლილი".

აქ საინტრიგო გარეშე პირისთვის არაფერი უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვანაირადაა. სინამდვილეში იმ „ბევრ ადამიანში", რომლებიც „რომაში" სტრუქტურების შექმნას იჩემებენ, ფაბიო კაპელო იგულისხმება.

შექმნილი მდგომარეობისთვის ნათელის მოსაფენად, მოვიტანოთ კაპელოს საპასუხო ნათქვამი: ტოტის ურჩევნია სანამ რამეს იტყვის, წაიკითხოს, რა წერია და მერე გააკეთოს კომენტარი. მე არასდროს მითქვამს, რომ ბრუნო კონტის „რომას" სტრუქტურების განვითარებაში წვილი არ მიუძღვის, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი რეგულარულად ვარჯიშობდა ძირითად გუნდთან ერთად. შესაძლოა, ტოტისთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი და როდესაც სხვები ვარჯიშობდნენ, იგი უკვე გასახდელში იყო შებრუნებული".

**პაპუნა ძიძია**

# მატარებელი ერთხელ ჩამოდგება

## ბარალდიმ ბილეთები გადადო



ალბერტო ჯილარდინო

„**პარმა**" ყველა ღონეს იხმარს, რათა ახალგაზრდა ფორვარდი, ალბერტო ჯილარდინო 2005-06 წლების სეზონშიც შეინარჩუნოს.

მოგეხსენებათ, იტალიის ნაკრების ვარსკვლავზე დაჟინებით ამბობენ, რომ იგი ივნისში „მილანში" გადადის, თუმცა, როგორც ჩანს, ეს საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

„ჩვენ მისი შენარჩუნება გვინდა — განაცხადა პარმელთა აღმასრულებელმა შეფმა ლუკა ბარალდიმ — მართალია, ჩვენს ოფისში რამდენიმე დიდებული წინადადება დევს, მაგრამ ყველაფერს აწონ-დაწონვა სჭირდება. თითოეულ წინადადებას ისე უნდა მივუდგეთ, როგორც იმ მატარებელს, მხოლოდ ერთხელ რომ ჩამოდგება ბაქანზე".

შეგახსენებთ, რომ 22 წლის ფეხბურთელი თანამედროვე იტალიის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავად ითვლება, ხოლო გასული სეზონი მას უბრალოდ ფანტასტიკური ჰქონდა — სერია A-ში გატანილი 23 გოლით თავდაპირველად „იუვენტუსისა" და მადრიდის „რეალის" ყურადღება მიიპყრო.

მიუხედავად ასეთი ყურადღებისა, ჯილარდინო „პარმადან" არ წასულა და მიმდინარე სეზონი მართალია, ზოზინით დაიწყო, მაგრამ თანდათანობით თამაშს უმატა და საუკეთესო ფორმასაც უახლოვდება.

„მას სეზონი დიდებულად სულაც არ დაუწყია, მაგრამ თავი ხელში აიყვანა, ხოლო ნაკრებში გამოძახებამ ფრთები შეასხა და თავდაჯერებაც შემატა. ალბერტოს ბოლოხანს პასუხისმგებლობის გრძნობაც გამძაფრებული აქვს და ჩვენთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მოთამაშეა" — დასძინა ბარალდიმ.

საინტერესოა, რომ თავად „პარმას", როგორც ამბობენ, ჩინური კონსორციუმი ყიდულობს.

**პაპუნა ძიძია**

# რომს შავიერი შემერია

**პორტუგალიელმა** მცველმა აბელ შავიერმა იტალიურ „რომასთან" ხუთთვიანი კონტრაქტი გააფორმა. თეთრ თმაწვერიანი ფეხბურთელი ამ ხნის სეზონის ბოლომდე 140 ათას გირვანქას ჩაიჯიბავს და ეგებ მერე, კონტრაქტიც გაუხანგრძლივონ.



აბელ შავიერი კარიერას „რომაში" გააგრძელებს

აბელ შავიერი შარშან ივლისში, „ჰანოვერიდან" წასვლის შემდეგ უგუნდოდ იყო, მანამდე კი „ეშტრელა ამადორა", „ბენფიკა", „ოვიედო", „პსვ ეინდჰოვენი", „ევერტონი", „ლივერპული" და თურქული „გალათასარაიც" მოიარა. ერთი სეზონი (1995-96) „ბარიშიც" გამოდიოდა.

შავიერი მივიდა, მაგრამ „რომამ" ახალგაზრდული გუნდის 18 წლის ნახევარმცველი რაფაელე დე მარტინო შვეიცარიული ჩელენჯლიგის „ბელინცონაში" გაუშვა. დე მარტინოს სერია A-შიც უთამაშია და ჩემპიონთა ლიგაშიც, მაგრამ „რომასთან" პროფესიული კონტრაქტი არ აკავშირებდა, თუმც არაერთხელ კი შესთავაზა.

18 წლის დე მარტინოს წაყვანა „არსენალს", „ლივერპულს", „ვესტ ჰემს" და „რეინჯერსაც" სურდათ, მაგრამ აგენტმა ჯუზეპე გალიმ რატომღაც იუარა: „ჩემს კლიენტს „ბელინცონას" შეთავაზებული პირობები მოეწონა და კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულამდე გააფორმა" — განაცხადა გალიმ.

**მამა ხუციშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# როგორ გაიგდო მსაჯმა თავისი თავი


ენდი უეინი

**ინგლისის** მოყვარულთა ლიგაში, რომელსაც საკეირაო ლიგასაც ეძახიან, არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. „პიტერბორო ნორთ ენდისა“ და „როიალ მეილის“ მატჩში მსაჯმა ენდი უეინმა საკუთარ თავს წითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან გაიგდო.

ეგ, როგორო, იკითხავთ და ვინძლო გულიანადაც გადაიხარხაროთ. საქმე კი აი, რაშია: მატჩის 63-ე წუთზე „როიალ მეილმა“ „პიტერბოროს“ გოლი გაუტანა — და 2:1 დაწინაურდა. გაბრაზებულმა მეკარე რიჩარდ მაკგაფინმა ჩათვალა, რომ გოლი წესის დარღვევით გაუტანეს და მსაჯს ყვირილით ეცა. 39 წლის არაპროფესიონალმა არბიტრმა, რომლის ნაღდი საქმე მძღოლობაა, ლანძღვა-გინებით ხურდა დაუბრუნა და ურჩია, მოეკეტა. ამის მერე მსაჯმა წითელი ბარათი იშიშვლა, საკუთარ თავს უჩვენა, დაუსტვინა, თამაში დამთავრდაო და მოედანი ამაყად დატოვა.

„ასეთი საქციელის შემდეგ, მატჩის გაგრძელების მორალური უფლებაც კი არ მქონდა, რადგან რომელიმე ფეხბურთელს ჩემთვის რომ ეგინებინა, წესით, უნდა გამეძევებინა. ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღე და თავიც ამიტომ დავისაჯე“ — ამბობს უეინი.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია მომხდარს, რა თქმა უნდა, იძიებს. თავად ენდი უეინს კი გასაბრაზებლად არაერთ მიზეზი ჰქონია — ჯერ მის ცოლს კიბო აღმოაჩნდა, მერე ერთი თვის წინ უახლოესი მეგობარი მოუკვდა, მატჩის წინადღით კი სიმამრი გარდაეცვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**


ეროვნულ
ბიბლიოთე

# მხოლოდ და მხოლოდ მსუბუქად
## ედმილსონი და მოტა მალე დაბრუნდებიან





**კარგი** ამბავი ფრანკ რაიკარდისთვის და „ბარსელონას“ ქომაგებისთვის — კატალონიურ კლუბს ტრავმირებული ბრაზილიელი ფეხბურთელები შედარებით გამოუჯანმრთელდნენ.

ტიაგო მოტა და ედმილსონი მშობლიური სან პაულუდან კლუბის საწვრთნელ ბაზაზე უკვე დაბრუნდნენ და ახლა მათთვის „ბარსას“ ექიმთა ზედამხედველობით მსუბუქად ვარჯიში და სირბილიც შეიძლება.

დიახ, მხოლოდ და მხოლოდ მსუბუქად, არავითარი ზედმეტი დატვირთვები, რადგან არაა გამორიცხული, ტრავმათა რეციდივი განმეორდეს.

როდის შეძლებენ მოტა და ედმილსონი თამაშს, ზუსტ თარიღს ამჯერად ვერავინ ამბობს, თუმც მედიკოსთა ვარაუდით, მოტა მარტის შუა რიცხვებისთვის უნდა იყოს მზად, ედმილსონს კი კიდევ ორი თვე დასჭირდება.

მათ საბოლოო გამოჯანმრთელებას „ბარსელონას“ ფიზმომზადების მწვრთნელი პაკო სეირული თანაშემწეებთან ერთად მომავალი ორშაბათიდან უხელმძღვანელებს.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ტიაგო მოტა 11 სექტემბერს „სევილიასთან“, ხოლო ედმილსონი 3 ოქტომბერს „ნუმანსიასთან“ მატჩების დროს დაშავდნენ.

**ლადო ხომერიკი**

# ბარი ფერგიუსონის თვრამეტთვიანი შეცდომა
## მაკლიშმა სამკლავური გაამზადა

**ბარი ფერგიუსონი** წელიწადნახევრის წინ „რეინჯერსიდან“ „ბლექბერნში“ გადავიდა. გუშინწინ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი საათით ადრე კი ისევ „რეინჯერსში“ დაბრუნდა და გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აქედან საერთოდ აღარსად წავალო.

შოტლანდიელი ფეხბურთელი „ჩაფრებს“ ოთხნახევარი მილიონი გირვანქა დაუჯდათ და ხუთნახევარი წლით დაისაკუთრეს. „პრემიერლიგაში გადასვლა შეცდომა იყო. ზოგმა შეიძლება თქვას, „ბლექბერნში“ კონკურენციას ვერ გაუძლოო, მაგრამ ეს მათი საქმეა. ერთი თვის წინ შევიტყვე, რომ „რეინჯერსს“ ვუნდოდი და იმ დღიდან მხოლოდ გლაზგოში დაბრუნებაზე ვფიქრობდი. „ბლექბერნში“ ყოფნა მიმძიმდა, ახლა კი ამოვისუნთქე და არ ვნანობ, რომ ისევ „ჩაფარი“ ვარ“.

„რეინჯერსის“ მეკარე და კაპიტანი შტეფან კლოსი ტრავმირებულია და ალექს მაკლიში კაპიტნის სამკლავურს ალბათ, სწორედ ბარი ფერგიუსონს დაუბრუნებს, რომელიც ადრეც თავობდა გუნდს. „ამის თაობაზე უახლოეს დღეებში მოვითათბირებთ და გადაწყვეტილებას მივიღებთ“ — თქვა მწვრთნელმა, რომელიც თურმე „სელტიკში“ გადასული კრეიგ ბელამის გადაყვანასაც ცდილობდა. „სხვა ვითარებაში ბელამი ჩვენს გუნდში იქნებოდა, მაგრამ მთავარი მიზანი, ბარი ფერგიუსონის დაბრუნებას მივაღწიეთ“ — აღნიშნა მაკლიშმა.

ფერგიუსონს კი, ინგლისის კოხტა მინდვრებზე თამაშის მიუხედავად „ოლდ ფირმი“ მონატრა. „ბლექბერნს“ არ ვაკნინებ, მაგრამ იქაური დერბი „ბოლტონთან“, „სელტიკ“ — რეინჯერსს“ ნამდვილად ვერ შეედრება“.

გლაზგოელებმა ტრავმირებული შტეფან კლოსის შემცვლელად „მანჩესტერ სიტიდან“ ჰოლანდიელი როლანდ ვატერეუსი რომ შეიძინეს, გუშინაც გაცნობეთ. ახალი კი ისაა, რო ვატერეუსმა თქვა: „იშვიათია შემთხვევა, როცა 34 წლის მეკარეს ასეთ დიდ გუნდში თამაშის შანსი ეძლევა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აი, ვახშამი!
## სუფრის თავში ბარსელონა იჯდა


ხუან ლაპორტა და სანდრო როსელი რესტორანში შერიგდნენ

**„ბარსელონას“** პრეზიდენტი ხუან ლაპორტა და ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი ქართულად შერიგდნენ. გავიხსენოთ, რომ კატალონიური კლუბის ეს ორი მმართველი ამ ბოლო ხანს ერთმანეთთან უბრად იყვნენ და ამ ამბავს „სარბიელმა“ მოზრდილი წერილიც მიუძღვნა. შერიგების ქართულ ხერხად კი სუფრა ვიგულისხმეთ.

გუშინწინ ლაპორტა და როსელი ბარსელონის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში შეხვდნენ ერთმანეთს და, ვფიქრობთ, პირველი „ბარსას“ სადღეგრძელო შეისვა. ყანწ-აზარფეშები იქით იყოს და ხუანსა და სანდროს და დაუთქვამთ, დღეიდან სალამ-ქალამი არ დაგვემადლებოდეს და კატალონიის სიამაყის საკეთილდღეოდ საქმეები ერთად წარვმართოთო.

დიდი საქმეები მართლაც სუფრაზე გვარდება...

**ქახა ხურციძე**

# ევროპა აზერბაიჯანსაც უნდა

**იტალია,** საბერძნეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და... აზერბაიჯანი. ამ ქვეყნებმა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ ინდივიდუალური ანუ სოლო განაცხადი შეიტანეს, ხოლო ხორვატიას უნგრეთთან და პოლონეთს უკრაინასთან წყვილად უნდა შეჯიბრების ჩატარება.

უეფას კი ასეთი გეგმა აქვს: 2005 წლის ნოემბერში შორტლისტს შეადგენს, უფრო ზუსტად კი ჩამოთვლილებს სამამდე დაიყვანს, ხოლო გამარჯვებულს 2006-ის დეკემბერში დაასახელებს.

**ბაჩუნა ძიძია**



# პუტინი ფეხბურთსაც კარგად თამაშობს

## მუტკო პრეზიდენტის ძმაკაცია





ვიტალი მუტკოს კანდიდატურას ეგებ, ვლადიმირ პუტინმაც დაუჭიროს მხარი

**რუსეთის** საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი ვიტალი მუტკო გახდება — სანქტ პეტერბურგის ფეხბურთის ფედერაცია მას ზეგ ოფიციალურად წარადგენს.

შეგახსენებთ, რომ კავშირის პრეზიდენტის მოვალეობას ჯერჯერობით კვლავ ვიაჩესლავ კოლოსკოვი ასრულებს, რომელმაც ერთი კვირის წინ პოსტიდან წასვლის თაობაზე განაცხადა.

აღმასკომის რიგგარეშე ყრილობა 2 აპრილს გაიმართება, რომელზედაც კოლოსკოვის წასვლას საბოლოოდ, „დე იურე დე ფაქტო" გააფორმებენ და რუსული ფეხბურთის ახალ თავკაცს აირჩევენ.

1958 წლის 8 დეკემბერს კრასნოდარის მხარეში დაბადებულ მუტკოს იურისტისა და სანქტ პეტერბურგის წყლის ტრანსპორტის ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომი აქვს.

1991-94 წლებში სანქტ პეტერბურგის მერის, ანატოლი სობჩაკის მოადგილედ გაამწესეს. 1994-დან 1996-მდე იგი ვლადიმირ პუტინთან ერთად მუშაობდა მოსკოვის მერიაში.

1997-ში „ზენიტის" პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო რუსეთის 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინის ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

რუსეთის პრემიერლიგა ვიტალი მუტკოს თაოსნობით შეიქმნა და 2001-2003 წლებში თავადვე ხელმძღვანელობდა მას, ხოლო 2003 წლის 29 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის საბჭოში ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეები ჩააბარეს.

**გაგა ხუციშვილი**

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XIX ტური

დინამო 0:1 კოტბუსი

0:1 ნ. მესაროში (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 19 | 12 | 4 | 3 | 40:21 | 40 |
| ფიურტი | 19 | 12 | 3 | 4 | 31:18 | 39 |
| დუისბურგი | 19 | 12 | 3 | 4 | 30:19 | 39 |
| ალემანია | 19 | 9 | 4 | 6 | 38:20 | 31 |
| ზაარბრიუკენი | 19 | 9 | 3 | 7 | 29:21 | 30 |
| აინტრახტი | 19 | 8 | 4 | 7 | 33:31 | 28 |
| მიუნხენი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:27 | 27 |
| ალენი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:20 | 25 |
| აუე | 19 | 7 | 3 | 9 | 26:22 | 24 |
| ტრირი | 19 | 5 | 9 | 5 | 24:28 | 24 |
| ბურგჰაუზენი | 19 | 6 | 5 | 8 | 23:31 | 23 |
| კოტბუსი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:27 | 22 |
| ობერჰაუზენი | 19 | 6 | 4 | 9 | 24:35 | 22 |
| კარლსრუე | 19 | 5 | 6 | 8 | 23:30 | 21 |
| უნტერჰახინგი | 19 | 6 | 2 | 11 | 27:31 | 20 |
| ერფურტი | 19 | 4 | 7 | 8 | 16:27 | 19 |
| ესენი | 19 | 3 | 9 | 7 | 25:35 | 18 |
| დინამო | 19 | 5 | 3 | 11 | 24:36 | 18 |

### ინგლისი

ასოციაციის თასი

1/8 ფინალის წილისყრა

ბოლტონი — დერბი ქაუნთი ან ფულემი; ვესტ ბრომვიჩი ან ტოტენჰემი — ნოტინგემი; ევერტონი — მანჩესტერ იუნაიტედი; ჩარლტონი — ლესტერი; ბარნლი — ბლექბერნი; საუთჰემპტონი — ბრენტფორდი ან ჰარტლპული; ნიუკასლი — ჩელსი; არსენალი — ვესტ ჰემი ან შეფილდ იუნაიტედი

*მატჩები გაიმართება 19-20 თებერვალს*

### პორტუგალია

სუპერლიგა. XIX ტური

სპორტინგი 1:1 სეტუბალი

0:1 ჟორჟინიუ (52), 1:1 ფაუსტინო (58ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაგა | 19 | 10 | 6 | 3 | 29:14 | 36 |
| სპორტინგი | 19 | 10 | 5 | 4 | 41:24 | 35 |
| პორტუ | 19 | 9 | 7 | 3 | 24:13 | 34 |
| ბენფიკა | 19 | 10 | 4 | 5 | 30:21 | 34 |
| ბოავიშტა | 19 | 10 | 4 | 5 | 24:23 | 34 |
| მარიტიმუ | 19 | 7 | 9 | 3 | 20:16 | 30 |
| სეტუბალი | 19 | 8 | 4 | 7 | 27:22 | 28 |
| რიუ ავე | 19 | 6 | 10 | 3 | 26:22 | 28 |
| გიმარაეში | 19 | 7 | 5 | 7 | 19:18 | 26 |
| ბელენენსეში | 19 | 7 | 4 | 8 | 29:26 | 25 |
| ლეირია | 19 | 5 | 9 | 5 | 19:19 | 24 |
| ნასიონალი | 19 | 7 | 3 | 9 | 23:28 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 19 | 5 | 5 | 9 | 20:24 | 20 |
| პენაფიელი | 19 | 6 | 2 | 11 | 18:35 | 20 |
| ეშტორილი | 19 | 5 | 4 | 10 | 22:27 | 19 |
| მორეირენსე | 19 | 3 | 8 | 8 | 16:26 | 17 |
| ბეირა მარი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:37 | 17 |
| აკადემიკა | 19 | 3 | 4 | 12 | 14:27 | 13 |

### ჩილე

აპერტურა. II ტური

აუდაქს იტალიანო — ევერტონი 1:1; რეინჯერსი — უნიონ ესპანიოლა 0:0; უონდერერსი — კოლო კოლო 1:1; კობრელოა — პალესტინო 1:0; პუერტო მონტი — უნივერსიდად კათოლიკა 1:2; კონსეფსიონი — უაჩიპატო 1:1; მელიპილია — ტემუკო 0:0; ლა სერენა — უნივერსიდადი 2:0; კობრესალი — კოკიმბო 2:1; უნივერსიდად დე ჩილე — სან ფელიპე 2:0

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

XXIV ტური

ლავალი 1:0 გენიონი

1:0 ზოკო (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 22 | 12 | 5 | 5 | 31:20 | 41 |
| სედანი | 24 | 11 | 7 | 6 | 24:21 | 40 |
| ტრუა | 23 | 11 | 5 | 7 | 39:32 | 38 |
| ლე მანი | 24 | 11 | 5 | 8 | 26:22 | 38 |
| შატორუ | 24 | 8 | 13 | 3 | 28:20 | 37 |
| მონპელიე | 24 | 10 | 6 | 8 | 26:21 | 36 |
| გენიონი | 24 | 8 | 11 | 5 | 20:17 | 35 |
| ბრესტი | 24 | 8 | 11 | 5 | 25:24 | 35 |
| ლავალი | 24 | 10 | 5 | 9 | 27:27 | 35 |
| გენგამი | 23 | 9 | 5 | 9 | 31:29 | 32 |
| რეიმსი | 23 | 8 | 8 | 7 | 25:28 | 32 |
| გრენობლი | 22 | 7 | 9 | 6 | 28:26 | 30 |
| დიჟონი | 22 | 7 | 9 | 6 | 23:21 | 30 |
| ამიენი | 24 | 6 | 9 | 9 | 20:24 | 27 |
| ლორიანი | 24 | 8 | 3 | 13 | 28:35 | 27 |
| კლერმონი | 23 | 5 | 10 | 8 | 25:26 | 25 |
| ანჟე | 24 | 5 | 9 | 10 | 23:29 | 24 |
| ლე ავრი | 24 | 6 | 6 | 12 | 15:24 | 24 |
| კრეტეი | 24 | 5 | 8 | 11 | 20:25 | 23 |
| ნიორი | 24 | 6 | 4 | 14 | 20:33 | 22 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80




**ინგლისური** „ბლექბერნი" ესპანელმა ნახევარმცველმა ხავიერ დე პედრომ დატოვა. „სოსიედადის" ყოფილი ფეხბურთელი „როვერსს" ვერ შეეწყო და გუნდის ხელმძღვანელობა მას კონტრაქტის შეწყვეტაზე დასთანხმდა. 31 წლის დე პედრო იტალიურ „პერუჯაში" გადაბარგდა და უმბრიელებს სერია A-ში დაბრუნებაში დაეხმარება. მხარეებმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს, ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

**იტალიური** „პალერმოს" ნახევარმცველი ანდრეა გასბარონი სეზონს „სამპდორიაში" ჩაამთავრებს. 23 წლის ნახევარმცველი სიცილიელთა ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვერ ხვდებოდა და კლუბის გამოცვლაც ამიტომ ისურვა. აღსანიშნავია, რომ გასბარონიზე გარკვეული უფლებები ტურინის „იუვენტუსსაც" აქვს.

**ფრანგულმა** „მარსელმა" საბოლოოდ მოილაპარაკა იაპონურ „კაშიმა ანთლერსთან" და კოჯი ნაკატა შეიძინა. შეთანხმების ფინანსური მხარე არ ხმაურდება, ხოლო კონტრაქტი წელიწადნახევრიანია. „მარსელის" ხელმძღვანელობის თქმით, 25 წლის ნახევარმცველის დებიუტი თავის ახალ კლუბში სულ მცირე ორ კვირაში შედგება.

**ინგლისურმა** „ბირმინგემმა" სანტანდერის „რასინგისგან" სეზონის ბოლომდე ტუნისელი ნახევარმცველი მეჰდი ნაფტი ინათხოვრა. შეთანხმების ერთ-ერთი პირობის თანახმად, თუ ბირმინგემელებს სურვილი ექნებათ, მომავალ ზაფხულს 26 წლის აფრიკელის შეძენა 1,3 მილიონ ევროდ შეეძლებათ. აღსანიშნავია, რომ ტუნისელმა ბოლო 6 სეზონი „რასინგში" გაატარა.

**გერმანულმა** „ლევერკუზენმა" ბულგარელ ფორვარდ დიმიტარ ბერბატოვთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 24 წლის თავდამსხმელის ხელში ჩაგდება არაერთ კლუბს სურდა, მაგრამ „ფარმაცევტები" ყველანაირად ცდილობენ მის შენარჩუნებას. ჯერჯერობით, არც თავად ფეხბურთელია გუნდში დარჩენის წინააღმდეგი. ახალი შეთანხმებით იგი ძალიან კმაყოფილია.

**იტალიური** „პარმა" ფრანგმა მცველმა მარტინ ჯეტუმ დატოვა. მიმდინარე სეზონში იგი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ამიტომ გადაწყვიტა კლუბიდან წასვლა. 30 წლის ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდა და „ნიცას" შეუერთდა. კონტრაქტი ხუთთვიანია, გახანგრძლივების პერსპექტივით.

**ინგლისურმა** „ტოტენჰემმა" „ნოტინგემ ფორესტის" ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიმატა. 21 წლის მცველმა მაიკლ დოუსონმა და 22 წლის ნახევარმცველმა ენდი რიდმა უკვე გაიარეს სამედიცინო შემოწმება და პირადი კონტრაქტის დეტალებიც შეათანხმეს „შპორებთან". „ნოტინგემმა" ორი პერსპექტიული მოთამაშის სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა მიიღო.

**ესპანურმა** „რეალმა" და სანტიაგო სოლარიმ საბოლოოდ შეათანხმეს ახალი კონტრაქტის პირობები. არგენტინელი ნახევარმცველი მომავალ 4 წელსაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაატარებს. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფეხბურთელი „სამეფო კლუბს" 2000 წელს თანაქალაქელ „ატლეტიკოსგან" შეუერთდა.

**იტალიურმა** „ბრეშამ" ზაფხულამდე ახალგაზრდა შვეიცარიელი თავდამსხმელი იოჰან ვონლანტენი ინათხოვრა. მან მიმდინარე სეზონი ჩინებულად დაიწყო და „პსვ ეინდჰოვენის" ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედაც იქცა, თუმცა შემდგომში ვენეგოორ ოფ ჰესელინკთან კონკურენციას ვეღარ გაუძლო და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. „ეინდჰოვენის" უფროსობის აზრით, სერია A-ში გატარებული რამდენიმე თვე მის განვითარებას ხელს შეუწყობს.

**ინგლისური** „საუთჰემპტონი" ორი საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერდა. „წმინდანებმა" „ნიუკასლისგან" ოლივიე ბერნარი, ხოლო „ვულვზისგან" ანრი კამარა 5 თვით ითხოვეს. კლუბი რთულ მდგომარეობაშია და პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. გუნდის თავკაც ჰარი რედნაპის აზრით, ამ დუეტის დახმარებით „საუთჰემპტონი" მიზანს მიაღწევს.

**გერმანულმა** „შტუტგარტმა" 22 წლის ნახევარმცველ თომას ჰიცლშპერგერთან წინასწარ შეთანხმებას მიაღწია და სავარაუდოდ, მომავალ ზაფხულს ტრანსფერიც შედგება. ახალგაზრდა გერმანელი ამჟამად ბირმინგემის „ასტონ ვილაში" ირიცხება. „სამშობლოში სიამოვნებით დავბრუნდები, თუმც ისეთი კლუბი მჭირდება, სადაც განვითარებას შევძლებ. თუ „შტუტგარტი" შესაბამის პირობებს შემომთავაზებს, დაუფიქრებლად გავაფორმებ კონტრაქტს" — თქვა ჰიცლშპერგერმა.

**ხორვატმა** ნახევარმცველმა ივან ლეკომ ესპანურ მალაგასთან კონტრაქტი გაწყვიტა და მშობლიურ „ჰაიდუკში" დაბრუნდა. 26 წლის ლეკო ანდალუზიელებს 2001 წელს შეუერთდა. ბოლო დროს იგი საერთოდ ვეღარ ხვდებოდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რის გამოც „მალაგას" დატოვება არჩია.

**ფრანგული** „მონაკოს" თავდამსხმელმა შაბანი ნონდამ დაადასტურა, რომ სეზონის ბოლოს კლუბიდან წავა. კონგოელი ფორვარდი მუხლის ტრავმის შემდეგ ამოვარდა დიდიე დეშანის სქემიდან და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ნონდა მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება და, მისი თქმით, კარიერას უცხოურ კლუბში გააგრძელებს. ამბობენ, მისით „რეინჯერსი" და „იუვენტუსი" არიან დაინტერესებულნიო.

**ესპანურ** „სევილიას" სერხიო რამოსი დაახლოებით ერთ თვეს ვერ დაეხმარება. 18 წლის მცველმა მუხლის ტრავმა ბარსელონელ ლუდოვიკ ჟიულისთან ორთაბრძოლისას მიიღო. იგი მხოლოდ პრიმერადივიზიონის მატჩებს კი არა, უეფას თასის ორივე მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრასაც გამოტოვებს. აღსანიშნავია, რომ რამოსს ორი ინგლისური გრანდი — „არსენალი" და „მანჩესტერი" აკვირდება.

**თურქულმა** „გალათასარაიმ" ახალგაზრდა ფრანგ ფეხბურთელ ფრანკ რობერისთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. ფრანგული პრესის ვარაუდით, ტრანსფერი მომავალ ზაფხულს განხორციელდება და სტამბოლელები რობერიში 5 მილიონ ევროს გადაიხდიან. „გალათასარაი" დიდი კლუბია და იქ განვითარების კარგი შანსი მექნება. წინადადება სხვა კლუბებისგანაც მქონდა. მაგალითად, „ატლეტიკო", „იუვენტუსი", „ლიონი" და კიდევ სხვა გუნდები მთავაზობდნენ კონტრაქტს, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მინდა" — თქვა 21 წლის ფეხბურთელმა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 6 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 22:45 | 7 | ბლექბერნი-ჩელსი | 6.5 | 3.6 | 1.5 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 22:45 | 8 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.5 | 3.6 | 6.5 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 22:45 | 9 | ფულემი-ასტონ ვილა | 2.3 | 3.3 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |
| 22:45 | 10 | სიტი-ნიუკასლი | 2.3 | 3.3 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 21 | ვულვერჰემპტონი-სანდერლენდი | 2.45 | 3.3 | 2.6 | 1.4 | 1.26 | 1.45 |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 15:30 | 22 | ბარნლი-ლიდსი | 2.2 | 3.3 | 3.0 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 23 | ლესტერი-ქრიუ | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 24 | მილუოლი-ქპრ | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 18:00 | 25 | პრესტონი-ქოვენთრი | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 18:00 | 26 | რედინგი-პლიმუთი | 1.6 | 3.4 | 5.8 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| 18:00 | 27 | შეფილდი-იფსვიჩი | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 28 | უოტფორდი-ჯილინგემი | 1.8 | 3.3 | 4.3 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 29 | უიგანი-სტოკი | 1.55 | 3.6 | 6.0 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 18:00 | 30 | როტერჰემი-ნოტინგემი | 2.35 | 3.3 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.5 |
| 18:00 | 31 | ბრაიტონი-დერბი | 2.55 | 3.2 | 2.6 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 16:00 | 32 | ვესტ ჰემი-კარდიფი | 1.75 | 3.3 | 4.6 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 21:00 | 85 | კოტბუსი-ზაარბრიუკენი | 2.25 | 3.1 | 2.9 | 1.3 | 1.26 | 1.49 |
| 21:00 | 86 | დუისბურგი-ობერჰაუზენი | 1.45 | 3.9 | 6.0 | 1.05 | 1.16 | 2.36 |
| 21:00 | 87 | აინტრახტი-კიოლნი | 2.4 | 3.1 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 88 | კარლსრუე-ალემანია | 2.55 | 3.0 | 2.6 | 1.37 | 1.28 | 1.39 |
| 17:00 | 89 | ერფურტი-ესენი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 17:00 | 90 | ტრირი-მიუნხენი | 2.4 | 3.1 | 2.7 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 17:00 | 91 | უნტერჰახინგი-ალენი | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 17:00 | 92 | აუე-ფიურტი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 22:15 | 93 | ბურგჰაუზენი-დინამო | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 94 | ფიორენტინა-პალერმო | 2.25 | 2.8 | 3.3 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 22:30 | 95 | ინტერი-ატალანტა | 1.2 | 5.3 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.46 |
| 22:30 | 96 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.35 | 4.1 | 8.5 | 1.01 | 1.16 | 2.76 |
| 22:30 | 97 | ლაციო-ბრეშა | 1.75 | 3.1 | 5.1 | 1.11 | 1.3 | 1.92 |
| 22:30 | 98 | ლეჩე-რომა | 3.2 | 3.0 | 2.25 | 1.54 | 1.32 | 1.28 |
| 22:30 | 99 | ლივორნო-რეჯინა | 2.15 | 2.8 | 3.65 | 1.21 | 1.35 | 1.58 |
| 22:30 | 100 | მესინა-მილანი | 4.8 | 3.1 | 1.75 | 1.88 | 1.28 | 1.11 |
| 22:30 | 101 | სიენა-კალიარი | 2.3 | 2.8 | 3.3 | 1.26 | 1.35 | 1.51 |
| 22:30 | 102 | უდინეზე-კიევო | 1.7 | 3.1 | 5.5 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| | | **3 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 103 | ბოლონია-პარმა | 2.05 | 2.9 | 3.8 | 1.2 | 1.33 | 1.64 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 114 | კატანია-კატანძარო | 1.7 | 3.0 | 5.2 | 1.08 | 1.28 | 1.9 |
| | | **3 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 115 | კროტონე-ვიჩენცა | 2.15 | 2.8 | 3.4 | 1.21 | 1.31 | 1.53 |
| 22:30 | 116 | პიაჩენცა-მოდენა | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 22:30 | 117 | ტერნანა-ემპოლი | 2.5 | 2.7 | 2.9 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| 22:30 | 118 | ტრევიზო-პერუჯა | 2.25 | 2.7 | 3.35 | 1.22 | 1.34 | 1.49 |
| 22:30 | 119 | ტრიესტინა-სალერნიტანა | 2.1 | 2.8 | 3.55 | 1.2 | 1.31 | 1.56 |
| 22:30 | 120 | ვერონა-ვენეცია | 1.55 | 3.3 | 6.0 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 22:30 | 121 | ალბინოლეფე-პესკარა | 2.0 | 2.8 | 3.9 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 22:30 | 122 | ასკოლი-არეცო | 1.85 | 2.8 | 4.5 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 22:30 | 123 | ბარი-ჩეზენა | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| 22:30 | 124 | ჯენოა-ტორინო | 1.85 | 2.8 | 4.6 | 1.11 | 1.31 | 1.74 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 19:15 | 176 | ლილი-სოშო | 1.8 | 2.9 | 5.0 | 1.11 | 1.32 | 1.83 |
| 22:00 | 177 | ლიონი-ტულუზი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 22:00 | 178 | მარსელი-რენი | 1.55 | 3.4 | 5.9 | 1.06 | 1.22 | 2.15 |
| 22:00 | 179 | ნანტი-მონაკო | 3.3 | 2.8 | 2.25 | 1.51 | 1.33 | 1.24 |
| 22:00 | 180 | ნიცა-მეცი | 1.9 | 2.9 | 4.2 | 1.14 | 1.3 | 1.71 |
| 22:00 | 181 | აიაჩო-ისტრი | 1.85 | 2.8 | 4.9 | 1.11 | 1.34 | 1.78 |
| 22:00 | 182 | ოსერი-სტ.ეტიენი | 1.7 | 2.9 | 5.5 | 1.07 | 1.29 | 1.89 |
| 22:00 | 183 | ბორდო-ბასტია | 1.6 | 3.0 | 7.0 | 1.04 | 1.3 | 2.09 |
| 22:00 | 184 | სტრასბური-კაენი | 1.95 | 2.8 | 4.3 | 1.14 | 1.34 | 1.69 |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 185 | პსჟ-ლანსი | 1.75 | 3.0 | 5.0 | 1.1 | 1.29 | 1.87 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 215 | პსვ-როზენდალი | 1.1 | 6.5 | 14.0 | 1.0 | 1.01 | 4.43 |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 216 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 22:00 | 217 | გრააფსხაპი-ფეიენოორდი | 4.7 | 3.6 | 1.6 | 2.03 | 1.19 | 1.1 |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 218 | დენ ჰააგი-დენ ბოსხი | 1.7 | 3.4 | 4.4 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 21:30 | 219 | ჰერენვენი-ალკმაარი | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 220 | აიაქსი-ტვენტე | 1.25 | 5.4 | 8.0 | 1.01 | 1.08 | 3.22 |
| 16:30 | 221 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 16:30 | 222 | უტრეხტი-ბრედა | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 16:30 | 223 | ვიტესი-როდა | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 224 | სიტარდი-დორდრეხტი | 3.35 | 3.3 | 1.95 | 1.66 | 1.23 | 1.22 |
| 22:00 | 225 | ჰელმონდი-ვეენდამი | 1.75 | 3.5 | 3.9 | 1.16 | 1.2 | 1.84 |
| 22:00 | 226 | ოსი-კამბური | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 292 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 276 | ოსასუნა-სევილია | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 277 | ნუმანსია-ატლეტიკო | 2.55 | 3.2 | 2.5 | 1.41 | 1.26 | 1.4 |
| | | **3 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 278 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 2.6 | 3.2 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 280 | კაენი-მონაკო | 3.5 | 2.9 | 2.05 | 1.58 | 1.29 | 1.2 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 281 | გენკი-ბეერსხოტი | 1.45 | 3.6 | 6.6 | 1.03 | 1.18 | 2.32 |
| 22:00 | 282 | ბრიუგე-ლუვიე | 1.2 | 5.4 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.5 |
| 22:30 | 283 | ლოკერენი-გენტი | 2.1 | 3.3 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 22:30 | 284 | შარლერუა-ლიერსი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 285 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1.2 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.21 |
| 17:00 | 289 | კალამარია-ოფი | 2.3 | 3.0 | 2.8 | 1.3 | 1.26 | 1.44 |
| | | **3 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 286 | პანათინაიკოსი-აეკ | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 294 | ტაკუარი-პალმეირასი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 23:45 | 295 | ჩივასი-სიენსიანო | 1.45 | 3.9 | 5.7 | 1.05 | 1.15 | 2.31 |
| | | **3 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 296 | ქუნიორი-ორიენტე | 1.3 | 4.3 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.79 |
| 23:45 | 297 | უნივერსიტარია-პენიაროლი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **3 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 406 | მანჰაიმი-ინგოლშტადი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| | | **4 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 403 | ჰანოვერი-კიოლნი | 2.7 | 4.3 | 1.8 | 1.65 | 1.08 | 1.26 |
| 21:30 | 404 | ჰამბურგი-ფრანკფურტი | 2.25 | 4.3 | 2.2 | 1.47 | 1.11 | 1.45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 405 | აისბარენი-კასელი | 1.3 | 4.8 | 5.5 | 1.02 | 1.05 | 2.56 |
| 21:30 | 407 | კრეფელდი-აუგსბურგი | 1.8 | 4.2 | 2.8 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| 21:30 | 408 | იზერლონი-ვოლფსბურგი | 1.9 | 4.3 | 2.5 | 1.31 | 1.07 | 1.58 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **2 თებერვალი** | | | | | | |
| 13:00 | 409 | დინამო-მოლოტი | 1.05 | 7.0 | 10.0 | 1.0 | 1.0 | 4.11 |
| 13:00 | 410 | ს.იულაევი-აკ ბარსი | 3.8 | 4.5 | 1.4 | 2.06 | 1.02 | 1.06 |
| 13:00 | 411 | ავანგარდი-სევერსტალი | 1.3 | 4.6 | 3.8 | 1.01 | 1.0 | 2.08 |
| 13:00 | 412 | ლოკომოტივი-ნოვოკუზნეცკი | 1.4 | 4.6 | 3.9 | 1.07 | 1.03 | 2.11 |
| 13:00 | 413 | სპარტაკი-სიბირი | 1.75 | 4.4 | 2.75 | 1.25 | 1.06 | 1.69 |
| 13:00 | 414 | ლადა-ნეფტეხიმიკი | 1.3 | 4.6 | 4.0 | 1.01 | 1.0 | 2.13 |
| 13:00 | 415 | მაგნიტოგორსკი-ცსკა | 1.4 | 4.5 | 3.8 | 1.06 | 1.02 | 2.06 |
| 13:00 | 416 | ხიმიკი-აკ | 1.4 | 4.5 | 3.8 | 1.06 | 1.02 | 2.06 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11007 | ბლექბერნი-ჩელსი | 11.0 | 11.0 | 20.0 | 12.0 | 5.0 | 3.5 | 30.0 | 12.0 | 1.9 |
| 11008 | ევერტონი-ნორვიჩი | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11009 | ფულემი-ასტონ ვილა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11010 | სიტი-ნიუკასლი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11094 | ფიორენტინა-პალერმო | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11095 | ინტერი-ატალანტა | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.7 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11097 | ლაციო-ბრეშა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11098 | ლეჩე-რომა | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11099 | ლივორნო-რეჯინა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11100 | მესინა-მილანი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11101 | სიენა-კალიარი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11102 | უდინეზე-კიევო | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11103 | ბოლონია-პარმა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 2.4 | 2.0 | 4.0 | 1.09 | 1.5 | 1.33 |
| 10007 | ბლექბერნი-ჩელსი | 6.0 | 2.2 | 1.85 | 1.6 | 1.41 | 1.0 |
| 10008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.85 | 2.2 | 6.0 | 1.0 | 1.41 | 1.6 |
| 10009 | ფულემი-ასტონ ვილა | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10010 | სიტი-ნიუკასლი | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10094 | ფიორენტინა-პალერმო | 2.7 | 2.0 | 3.4 | 1.14 | 1.5 | 1.25 |
| 10095 | ინტერი-ატალანტა | 1.3 | 3.2 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.19 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.6 | 2.3 | 5.6 | 1.0 | 1.24 | 1.63 |
| 10097 | ლაციო-ბრეშა | 2.1 | 2.0 | 4.4 | 1.02 | 1.42 | 1.37 |
| 10098 | ლეჩე-რომა | 3.6 | 2.0 | 2.4 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10099 | ლივორნო-რეჯინა | 2.55 | 2.0 | 3.6 | 1.12 | 1.49 | 1.28 |
| 10100 | მესინა-მილანი | 4.3 | 2.1 | 2.05 | 1.41 | 1.38 | 1.03 |
| 10101 | სიენა-კალიარი | 2.7 | 2.0 | 3.4 | 1.14 | 1.5 | 1.25 |
| 10102 | უდინეზე-კიევო | 2.05 | 2.0 | 4.8 | 1.01 | 1.43 | 1.41 |
| 10103 | ბოლონია-პარმა | 2.5 | 2.0 | 3.7 | 1.11 | 1.49 | 1.29 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13010 | სიტი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13095 | ინტერი-ატალანტა | 1.8 | 1.8 |
| 13096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13097 | ლაციო-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13098 | ლეჩე-რომა | 1.6 | 2.0 |
| 13099 | ლივორნო-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 13100 | მესინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13101 | სიენა-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13102 | უდინეზე-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13103 | ბოლონია-პარმა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 2.2 |
| 14007 | ბლექბერნი-ჩელსი | 2.5 | 1.3 |
| 14008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.3 | 2.5 |
| 14009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14010 | სიტი-ნიუკასლი | 1.8 | 2.0 |
| 14094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.8 | 2.0 |
| 14095 | ინტერი-ატალანტა | 1.15 | 2.9 |
| 14096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.2 | 2.6 |
| 14097 | ლაციო-ბრეშა | 1.65 | 2.3 |
| 14098 | ლეჩე-რომა | 2.0 | 1.8 |
| 14099 | ლივორნო-რეჯინა | 1.8 | 2.0 |
| 14100 | მესინა-მილანი | 2.3 | 1.6 |
| 14101 | სიენა-კალიარი | 1.8 | 2.0 |
| 14102 | უდინეზე-კიევო | 1.45 | 2.4 |
| 14103 | ბოლონია-პარმა | 1.75 | 2.1 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | ბლექბერნი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ევერტონი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ფულემი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | სიტი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15094 | ფიორენტინა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15095 | ინტერი-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | იუვენტუსი-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15097 | ლაციო-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15098 | ლეჩე-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | ლივორნო-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15100 | მესინა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15101 | სიენა-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15102 | უდინეზე-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15103 | ბოლონია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12010 | სიტი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 12095 | ინტერი-ატალანტა | 2.0 | 1.6 |
| 12096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 12097 | ლაციო-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 12098 | ლეჩე-რომა | 2.0 | 1.6 |
| 12099 | ლივორნო-რეჯინა | 1.6 | 2.0 |
| 12100 | მესინა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12101 | სიენა-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 12102 | უდინეზე-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12103 | ბოლონია-პარმა | 1.7 | 1.9 |

## ფრეს ბარიერი(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.35 | 2.55 |
| 16007 | ბლექბერნი-ჩელსი | 3.8 | 1.15 |
| 16008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.15 | 3.8 |
| 16009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.6 | 2.1 |
| 16010 | სიტი-ნიუკასლი | 1.65 | 2.0 |
| 16094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.55 | 2.1 |
| 16096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.07 | 6.5 |
| 16097 | ლაციო-ბრეშა | 1.25 | 2.85 |
| 16098 | ლეჩე-რომა | 2.1 | 1.55 |
| 16099 | ლივორნო-რეჯინა | 1.45 | 2.6 |
| 16100 | მესინა-მილანი | 2.65 | 1.3 |
| 16101 | სიენა-კალიარი | 1.6 | 2.2 |
| 16102 | უდინეზე-კიევო | 1.25 | 3.15 |
| 16103 | ბოლონია-პარმა | 1.4 | 2.45 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17006 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ბლექბერნი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17010 | სიტი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ფიორენტინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17095 | ინტერი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17096 | იუვენტუსი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ლაციო-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ლეჩე-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ლივორნო-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17100 | მესინა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | სიენა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | უდინეზე-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ბოლონია-პარმა | 1.85 | 1.95 |

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

# ელიავაა თუ ბერმუდის სამკუთხედი?
## მამუკა აბრამიძე ბეწვზე გადარჩა



**ზაზა მაჩალაძის** ავარიიდან ერთი კვირის თავზე ქართული საკალათბურთო სამყაროს კიდევ ერთი ცნობილი წევრი მოხვდა რეანიმაციაში. გუშინწინ ავტოკატასტროფაში მოჰყვა „თბილავიამშენის" 31 წლის უკანახაზელი მამუკა აბრამიძეც და ახლა ის რესპუბლიკურ საავადმყოფოში წევს.

აბრამიძის სიცოცხლეს საფრთხე უკვე აღარ ემუქრება, ერთ-ორ დღეში მას პალატაში გადაიყვანენ. აი, მაჩალაძე კი ისევ უგონოდაა, ოღონდ იმიტომ, რომ ექიმები ძილის წამლებს ასმევენ, რადგან ფიქრობენ, რომ შესაძლოა, აუტანელმა ტკივილებმა შეაწუხოს.

სხვათა შორის, აბრამიძეც იმ მიდამოებში მოხვდა ავარიაში, სადაც ერთი კვირის წინ ზაზა მაჩალაძე იპოვეს სასტიკად ნაცემი. ორივე შემთხვევა ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. აბრამიძე სატვირთოს დაეჯახა, მაჩალაძე კი საკუთარ, მსუბუქად ნაავარიევ ავტოსთან იპოვეს უგონოდ.

მაჩალაძის მდგომარეობა კვლავაც კრიტიკულია. ზაზამ ხელ-ფეხი აამოძრავა და იმედია, მალე მდგომარეობიდანაც გამოვაო, გვითხრეს გუშინ მისმა მეგობარმა მსაჯებმა.

**ირაკლი პერტაია**



# ცქიტიშვილის პაპა კარლო
## ოლ სტარი ზაზას მიადგა

**ნბა-ს** შერჩენილი ორი ქართველის ყოფა სავსებით განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ ნიკა ცქიტიშვილს არ ათამაშებენ და ის „დენვერიდან" გაშვებას ითხოვს, მილუოკელ ზაზა ფაჩულიას მოედანზე ყოფნის პრობლემა არ აწუხებს და იქნებ ახალბედათა ოლ სტარსაც კი შესწვდა.

19-20 თებერვალს დენვერში ყველა ვარსკვლავის შოუა. კაშკაშების მატჩს წინ მცირე ოლ სტარი უძღვის ნბა-ს რჩეული ახალგაზრდების მონაწილეობით. საუკეთესო ახალბედები წინა სეზონის ახალბედებს, ანუ მეორეწლიანებს გაეჯიბრებიან. შარშან ზაზა ფაჩულია არ მიუწვევიათ მცირე ოლ სტარზე, წლეულს კი მას მეორეწლიანებში თამაშის შანსი გაუჩნდა... თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ შანსი.

„მილუოკი" ფიქრობს, რომ წლევანდელ მცირე ოლ სტარში ან მორის უილიამსი მოხვდება ან ზაზა ფაჩულია. ეს ორივე კი ალბათ ერთად ვერ ითამაშებს" — წერს მილუოკური „ჯორნალ სენტინელი".

„ვფიქრობ, მოს უკეთესი შანსი აქვს — ამბობს „ბაქსის" მთავარი მწვრთნელი ტერი პორტერი — ზაზა ალბათ ვერ მოხვდება მცირე ოლ სტარში, რადგან ის ხუთეულის წევრი არ არის და მოედანზეც საკმარის დროს არ ატარებს. ამიტომაც ჩვენ უილიამსს წარვადგენთ და ყველანაირად ვეცდებით მის მხარდაჭერას. მაგრამ არ მინდა, შარშანდელივით გამოვიდეს, როცა თიჯეი ფორდი უსამართლოდ დაგვიჩაგრეს."

შარშან თიჯეი ფორდი აშკარად იმსახურებდა მცირე „ოლ სტარში" თამაშს, მაგრამ ვისაც გუნდის დაკომპლექტება ეხება, იმას მილუოკელი ახალბედა აინუნშიც არ ჩააგდო.

ჯერჯერობით ამ მეორეწლიანებს აქვთ მცირე ოლ სტარი დაბევებული: კარმელო ენტონი, ლებრონ ჯეიმსი, დუეინ ვეიდი, კრის ბოში, კაილი კორვერი, ჯოშ ჰოვარდი, კირკ ჰაინრიხი, უდონის ჰასლიმი და ლუკ რიდნორი.

ჯეიმსი და ვეიდი ალბათ მეორეწლიანებიდან ამოვარდებიან, რადგან მათ დიდ ოლ სტარში თამაშის კარგი შანსი აქვს. სულ კი მცირე ოლ სტარში თვრამეტი კაცი უნდა შეირჩეს და ცხრა-ცხრა კაცმა 20-20 წუთიანი ტაიმები უნდა ითამაშონ.

აი, ასეთ ტალიკ-ტალიკ მატჩში თამაშის შანსი ჰქონდა ფაჩულიას, თუმცა...

ზაზა, როგორც ხედავთ, მაღალ-მაღლა მიიწევს, ცქიტიშვილი კი სკამსაა მიჯაჭვული და ხშირად მხოლოდ მწვრთნელში ხედავს. ჯეფ ბზდელიკის გაშვების შემდეგ ნიკას „დენვერის" დროებითი მწვრთნელის იმედი ჰქონდა, მაგრამ როცა არც მაიკლ კუპერმა ათამაშა, გუნდიდან გაშვება ისევ მოითხოვა ამ დღეებში კი „ნაგიტსში" ცნობილი ჯორჯ კარლი მივიდა და ცქიტიშვილმაც წასვლა დროებით გადაიფიქრა...

„რა თქმა უნდა, მინდა თამაში, მაგრამ ამაზე უკვე აღარ ვღელავ, რადგან გუნდში ჯორჯ კარლი მოვიდა და მე მისგან ბევრი რამის სწავლას ვაპირებ, ის შესანიშნავი მწვრთნელია" — ამბობს ცქიტიშვილი, რომელიც დენვერელთა ახალდანიშნულმა თავკაცმა უკვე მეორე მატჩში არ ათამაშა.

„სკიტა" ჯერჯერობით მშვიდადაა და ამბობს, რომ ის დარწმუნებულია, კარლთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ უფრო კარგად ეცოდინება გუნდში საკუთარი ადგილი.

„მე მსურს, რომ ცქიტიშვილი ვათამაშო, მაგრამ ამაში უფრო მაშინ ვიქნები დარწმუნებული, როცა მას ვარჯიშებზე კარგად გავიცნობ — ეს კი თავად კარლის სიტყვებია — მალე გამოჩნდება, რა შეუძლია ცქიტიშვილს, თუმცა ვფიქრობ, მას ჯერაც სჭირდება კბილების გამაგრება."

თუ ნიკა „დენვერში" დარჩა და ის კვლავ არ ათამაშეს, მერე ვეღარსად წავა, რაკი ნბა-ში სატრანსფერო ფანჯარა 21 თებერვალს იხურება.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

31 იანვარი

**ბოსტონი 94:97 ჰიუსტონი**
ბოსტონი: დევისი (24), პირსი (22), ბლუნტი (14)
ჰიუსტონი: მინგი (23), ბერი (17), მაკგრეიდი (16)

**სიეტლი 84:103 სან ანტონიო**
სიეტლი: მიური (13), რადმანოვიჩი (13), დანიელსი (13)
სან ანტონიო: ჯინობილი (23), დანკანი (21 ქულა, 10 მოხსნა), პარკერი (17 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

**ფილადელფია 89:88 ინდიანა**
ფილადელფია: აივერსონი (27 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), კორვერი (17)
ინდიანა: ჯეკსონი (24), ონილი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი 96:88 ნიუ იორკი**
კლიპერსი: ბრენდი (24), კამანი (18 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ იორკი: მარბერი (20), კროუფორდი (19), კ. ტომასი (11 ქულა, 15 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 91:98 მემფისი**
ნიუ ორლეანი: დიკაუ (19 ქულა, 12 პასი), ნეილონი (14)
მემფისი: რაიტი (19 ქულა, 11 მოხსნა), სვიფტი (19), უილიამსი (14)

**ატლანტა 80:79 ორლანდო**
ატლანტა: დილკი (17), ჰარინგტონი (16), უოლკერი (12 ქულა, 12 მოხსნა)
ორლანდო: ფრენსისი (24), ჰილი (19), ჰოვარდი (16 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება)



# ჩაარტყას, კარგია!
## ჯერომ ჯეიმსი მანუ ჯინობილის ცემას დაპირდა

„სან ანტონიო სფურზმა", როგორც იქნა, რალაც მოუხერხა „სიეტლ სუპერსონიქსს". ტეხასლები ამ სეზონში სულ 10-ჯერ დამარცხებულან და ამ ათეული წაგებიდან ორი სწორედ სიეტლელთა „სინდისზეა".

მუდამ ამბიციურ „სფურზს" რატომღაც ყოველთვის უჭირდა წლეულს წამოჩიტულ „სონიქსთან" ჭიდილი, ამის მიზეზი კი სწორედ იმ შეხვედრაში გამოჩნდა, რომელშიც, ბოლოს და ბოლოს, მოდრიკა უხერხული მეტოქე. „სიეტლს" სურდოშეყრილი ლიდერი რეი ალენი აკლდა და უმისოდ ამ გუნდის ერთმა მოთამაშემაც ვერ მოიხვეჭა „სან ანტონიოსთან" — ჰოი, სირცხვილო — 13 ქულაზე მეტი. სანატონიოელები, კერძოდ, მათი არგენტინელი ზამბარკაცი მანუ ჯინობილი თან აღიარებს რეი ალენის ფაქტორს, თან არა: „რა თქმა უნდა, ის ოლ სტარის დონის მოთამაშეა, მათი ლიდერია და წლეულს ხომ საერთოდ სეზონის უძვირფასესი მოთამაშეობის სერიოზული კანდიდატია, ამდენად რეი „სიეტლისთვის" უდიდესი დანაკლისი იყო. მის გარეშე ეს გუნდი ისევე დასუსტდება, როგორც ჩვენ ტიმ დანკანის არყოფნაში. მაგრამ „სიეტლს" ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავს და ვერც წარმოვიდგენდით, ასე თუ დაგვაჩაგვრინებდნენ თავს.

თავად ჯინობილის ანგარიშზე 23 ქულა და 7 პასი მოდის. არგენტინელი ისე დაპარპაშებდა მეტოქის სამწამიანში, როგორც შარშან ოლიმპიადაზე და სამი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ფარქვეშეთში. სიეტლელებს მისთვის რომ ვერაფერი მოუხერხებიათ, ნამარცხევს ქადილი დაუწყიათ: „სონიქსის" დონდლო ცენტრმა ჯერომ ჯეიმსმა აი, ასე დაურიდებლად თქვა — ყველაფერი ჩემი ბრალია. მე რომ მაგისთვის თამაშის დასაწყისშივე ერთი კარგად ჩამერტყა ხელებში, ასე თავხედურად ვერ იბოგინებდა ჩვენი დაცვის რიგებშიო. „სფურზთან" ამ რეგულარულ შეხვედრაში კიდევ ერთი მატჩი გვიწევს და მაგას იქ გავუსწორდებიო. ჩაარტყას კარგია! ნბა ნაღდად არ არის ჩალით დახურული და იქ არც მსაჯებს სძინავთ.

აუცილებლად უნდა ვთქვათ რამე „ნიუ იორკ ნიკერბოკერსზე", უბრალოდ კი „ნიქსზე". ეს გუნდი 59 წელია, ნბა-ში, მეტიც, ამ ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანია, ლხინიც ბევრი უნახავს და ჭირიც, მაგრამ ნიუიორკელთა მრავლისდამტევი ისტორია „ნიქსის" ასე დაბეჩავებას ვერ იხსენებს. ეს იანვარი ყველაზე კოშმარული თვე გამოდგა „ნიუ იორკისთვის" — 15 მატჩიდან 13 მარცხს ვერც მწვრთნელის გამოცვლას დააბრალებ და ვერც ლიდერ ალან ჰიუსტონის ტრავმას, ძაღლის თავი უფრო ღრმადაა დამარხული და ამას იანვრის კი არა, თებერვლის მატჩებიც დაადასტურებს.

**კოტე ყორშია**

# საშინელება!

## ცივი წყალი ცხელ ზაფხულში

შარშან, აგვისტოში, როდესაც მარათონელი მსოფლიო რეკორდსმენი, პოლ ტერგატი ათენს გაემგზავრა, გულში ერთადერთი რამ ჰქონდა ამოჭრილი — ოქრო უნდა მოეგო. ოლიმპიური ოქრო გახლდათ სწორედ ის ჯილდო, რომელიც მან წინა ორ ცდაზე ვერ მოიპოვა. როგორც ატლანტაში ასევე სიდნეიში ჰაილე გებრსელასიემ აჯობა 10 000 მეტრზე. და როდესაც 29 აგვისტოს სტარტზე ოლიმპიურ ფავორიტებს ამოუდგა გვერდში, იგრძნო, რომ როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად წინ გადაწოლილი 42 კილომეტრისა და 195 მეტრისთვის მზად იყო.

მაგრამ, ეშმაკს არ სძინავს: 30 კილომეტრის შემდეგ ტერგატმა წყლით სავსე ბოთლი დაკარგა და იძულებული შეიქნა დაელია ის, რაც ორგანიზატორებმა მიაწოდეს. ხოლო ორგანიზატორების მიწოდებული წყალი ცივი გამოდგა. ერთი სიტყვით, წყლის დალევიდან ორად ორ წუთში მძლეოსანს მუცლის გვრემა დაეწყო და ოლიმპიურ ოცნებასაც ბოლო მოეღო.

მაგრამ ტერგატმა ბრძოლა მაინც არ შეწყვიტა. „პანათინაიკოსის“ სტადიონზე მაინც შევიდა, მაინც მიირბინა ფინიშის ხაზამდე და მუცელატკივებული კაცისათვის არცთუ ურიგო — მეათე ადგილზე გავიდა.




**— როგორ გადაიტანეთ ათენური გაწბილება?**

— დავიზაფრე. იცით, რა მსხვერპლი გავიღე ოლიმპიადაზე გამარჯვების შანსი რომ მქონოდა? სირბილის დროს იმასთან შეგუება, რაც მოხდა, ყოვლად შეუძლებელი იყო. სწორად გამიგეთ, ვიღაც რომ გჯობია, ამას შეეგუები მთელ გულს რომ ჩადებ გარბენში, მაგრამ თავს ვერ გადააზტები, ამასაც გაიგებ, მაგრამ სასულელეს, რომლის გამოც აჩქელა და თან აშკარა შანსს უშვებ ხელიდან, ძალიან ძნელია შეეგუო. შეჯიბრებიდან ვერ გამოვიდოდი, ვიცოდი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ფინიშის ხაზი უნდა გადამეკვეთა.

იცით, ჩემი ღრმა რწმენით კაცი მხოლოდ შედეგებით კი არ უნდა შეფასდეს, არამედ მიღწევებითაც. მე თუ მკითხავთ, მაშინდელ სიტუაციაში ფინიშის ხაზთან მისვლა დიდი მიღწევა იყო და სასოწარკვეთილებისგან, სწორედ ამ შეგრძნებამ მიხსნა. საბოლოოდ კი რა გაეწყობა, ეს მხოლოდ სპორტია და არა მთელი ცხოვრება. როგორც მძლეოსანი მაინც აქაფ ვარ, რადგან ამდენი ხანია, უმაღლეს დონეზე გამოვდივარ, ხოლო ათენური წარუმატებლობა, მოდი, გამონაკლისად ჩავთვალოთ.

**— როგორ მიდის ვარჯიშის საქმე? ოლიმპიურმა უიღბლობამ თავი ხომ არ იჩინა რაიმე ფორმით?**

— აბსოლუტურად საღი ვარ და უახლოესი მარათონის მოგება მწადია. ვიცი, რომ ჩემი სალონდონო მზადება ძალიან კარგად მიდის. ჯანზეც ვარ, არაფერი მტკივა. რამდენიმე კროსი კარგად ვირბინე და ვგრძნობ, სწორ გზას ვადგავარ, ოღონდ ჯერჯერობით, ჯგუფთან ვმუშაობ. ადრე, როდესაც ოლიმპიადისთვის თუ მსოფლიო რეკორდისთვის ვემზადებოდი, ყოველ კვირას დავრბოდი 30 ან 38 კილომეტრს, ერთხელ 45 კილომეტრიც კი გავირბინე, მაგრამ ახლა მანძილები ცოტა შევკვეცე. ეჭვი არ მეპარება, რომ ყველაფერი ზუსტად მაქვს გათვლილი და საბოლოოდ ძალიან კარგ ფორმაში ვიქნები.

**— ლონდონის მარათონზე, როგორც ჩანს, მსოფლიოს უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს. იქნებით ორი უსწრაფესი ადამიანი, თქვენ და სემი კორირი, იქნებიან ოლიმპიური ჩემპიონები სტეფანო ბალდინი და გეზაჰენგე აბერა, იქნება მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჟაოუდ ღარიბი, ლონდონის მარათონის გამარჯვებულები ანტონიო პინტუჩით დაწყებული ევანს რუტოთი დამთავრებული და მეტიც, თქვენი ოდინდელი მეტოქე ჰაილე გებრსელასიეც სტარტზე იდგება. რას იტყვით ასეთ შეჯიბრებაზე?**

— მართალი გითხრათ, თუ ოლიმპიადას და მსოფლიოს ჩემპიონატს არ მივათვლით, ლონდონის მარათონის დარი ძლიერი შეჯიბრება არ მეგულება. ჩემთვის ასეთ კომპანიაში გამოსვლა დიდი პატივია. ეს ადამიანები უმაღლესი დონის სპორტსმენები არიან და ზუსტად იციან, რას და როგორ აკეთებენ. მეც, ჩემი მხრივ, უდიდეს შეჯიბრებებში წლობით გამოვდივარ და შემიძლია, უძლიერესთა მხარდამხარ ვირბინო.

**— ლონდონის მარათონი ათენური მარცხის კომპენსაციად და შურისძიებად გესახებათ?**

— არა, არა. არასდროს გავდივარ სარბენად შურისძიებაზე ფიქრით შეპყრობილი. ყოველი მორიგი გარბენი ჩემთვის ახალი გამოწვევაა. მე მუდმივად საკუთარი საუკეთესო შედეგის გაუმჯობესებას ვცდილობ.

**— ნუთუ ამდენ უძლიერეს სპორტსმენთან პაექრობაში შეიძლება მსოფლიო რეკორდთან შეთამაშება?**

— როდესაც გარბენში ამდენი უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობს, დიდი სისწრაფის განვითარება ძნელია. ასეთ დროს ყველა გამარჯვებაზე იწყებს ფიქრს, ხოლო წამზომს აღარავინ დაგიდევთ და ხშირად, ამიტომაც იმარჯვებს სრულიად უცნობი პიროვნება. ერთი სიტყვით, ვასრკვლავური გარბენის პრინციპი ისაა, რომ თავქუდმოგლეჯით არავინ გაეშურება ფინიშისკენ, ასე ვთქვათ, ხალხი „დასხდება“ და ერთმანეთს დააკვირდება.

**— თქვენ კროსში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ბრძანდებით. ორჯერ ნახევარმარათონშიც გიმარჯვიათ, რეკორდსმენი ბრძანდებით გზასა და სარბენ ბილიკზე. რამდენ ხანს გაგრძელდება თქვენი კარიერა?**

— ამწუთას ძველებურად ვარ ანთებული და რაც მეტ მარათონში მივიღებ მონაწილეობას, მით უფრო გამიხარდება, ხოლო მათ, ვინც ათენში მნახა და ჩემმა ფიასკომ შეუქმნა შთაბეჭდილება, ვეტყვი, რომ ჯერ ნუ ჩამომწერენ, ძალიან ადრეა.




REUTERS

VOLVO WOMEN'S OPEN

პატაია. მაგარსაფარი. საპრიზო 170 ათასი $

# ფრთები გაშალე, პატარავ! მარტინა დაბრუნებულა!

**პირველი წრე**

**მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) — მარტინა ჰინგისი 1:6, 6:2, 6:2**

ტაილანდურ პატაია ქალაქში მიმდინარე ამ ისე რაზე ნაკლები ტურნირისთვის ეგებ ყურადღება საერთოდაც არ მიგვექცია, მაგრამ რაკილა უკვე რამდენიმე თვის წინ ვიცოდით, რომ ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უთამაშებელი მარტინა ჰინგისი ამქარში მოსაბრუნებელ პირველ ნაბიჯებს სწორედ იქ გადადგამდა, გულმაც იქით გაგვიწია და კლავიატურამაც.

გაგვიწია და, თუმცა ახლა ჩვენი ოდინდელი ჯილაგოგოს გამარჯვებაზე ვერა ვწერთ, მაგრამ არც ისეა საქმე, თითქოს სულაც უიმედოდ და ჩოგანჩაქნეულად დავრჩენილიყავით. არამც და არამც, ძვირფასო სუფრის წევრებო — ამდენი ხნისას ნაუქმები მეჩოგნის კვალობაზე მარტინას არაფერი უჭირდა და პირველ სეტში სულაც ისე იბუქნავა, სულ მთლად ცუგრუმელას რომ ეხერხებოდა. ამ სეტში ის სრულად აკონტროლებდა თამაშს და მსოფლიო რეიტინგსიის 73-ე ადგილზე მდგომ მეტოქეს ისე აბურთავებდა, როგორც სურდა.

მაგრამ მერე და მერე თავი დაღლილობამაც იჩინა და მოუქნელობამაც. მეორე სეტში 24 წლის შვეიცარიელი ვაინგარტნერს 2:1 უგებდა და იმის მოწოდებაზეც სამი ბრეიკპოინტი ჰქონდა, მაგრამ მერე რაღაც უეცრივ ჩამოჭკნა და ფრთები ჩამოყარა. დასუსტებულს მოწოდებამაც უღალატა, რაიც არც თავის დროზე დაეტრაბახებოდა და გუშინაც უმთავრესი დამნაშავე იყო იმაში, რომ მარტინას ჩოგნაობა ნაწილ-ნაწილა და შიგადაშიგი იყო.

ვაინგარტნერმაც ციმციმ ისარგებლა მეტოქის იძულებითი დამუხრუჭებით და მატჩის სადავეები რომ უკუიპყრო, ბოლო გათამაშებამდე ჩოგნიდან აღარ გაუშვია...

ახლა რა და როგორ იქნება და კვლავაც განაგრძობს თუ არა მარტინა დიდ ამქარში დასაბრუნებელი ბილიკების მოსინჯვას, ამას ალბათ მოგვიანებით შევიტყობთ.

ხოლო სანამ შეგვიტყვია, შეგახსენებთ, რომ მარტინა ჯერაც 16 წლის იყო, საუკუნის უმრწემესი სლემტიტულოსანი რომ შეიქნა. 1997-99 წლებში მან ჯამში ხუთჯერ იმარჯვა ავსტრალიის, უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობებზე და მრავალი კვირის მანძილზე ამქარსაც პირველოსნობდა. ტანმორჩილობის კომპენსაციას ის გაუტეხელი სულისკვეთებით, რაფინირებული ტექნიკითა და ნატიფი ტაქტიკით ახერხებდა. მის ტახტს საძირკველი ზორბა უილიამსების გამოჩენისას შეერყა. ციდა მარტინას სულ უფრო და უფრო უჭირდა ულონიერეს გოგონებთან ჭიდილი, ხოლო როცა 2001 ოქტომბერსა და 2002 წლის მაისში კოჭზე გადატანილმა ოპერაციებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღეს, მან ჩოგნის ჩამოკიდება არჩია. თავისი ბოლო გუშინდლამდელი შეხვედრა მან 2002 წლის მიწურულს გერმანულ ფილდერშტადტში გამართა.

**ლევან ძელაურაძე**

## საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

# წესიერი ჭიდაობა

## ბერძენ-რომაელები ახალ ცხოვრებას ეჩვევიან



გუშინ დილის საჭიდაო დარბაზში დაწყებული ბერძნულ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატით 2005 წლის სეზონი ოფიციალურად გაიხსნა. მართალია, ქართული ჭიდაობის ყულაბაში საერთაშორისო ოქრო-ვერცხლი გუშინდლამდე ჩაჩხრიალდა, მაგრამ ის ჭაბუკების მოპოვებულია, უფროსები კი ხალიჩაზე ახლა იწყებენ გასვლას.

ამ კვირას თავისუფლად შეგვიძლია, საჭიდაო დავარქვათ. ორდღიან ბერძნულ-რომაულს ხვალ-ზეგ თავისუფალი მიჰყვება, თან ორივე სახეობაში უძლიერესი ქართველები გავლენ ხალიჩაზე. ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, აპრილში ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატებისთვის ეროვნული ნაკრები თავიდან კომპლექტდება და მასში ის მოხვდება, ვინც საქართველოს პირველობაში გამოიჩენს თავს.

ამ ჩემპიონატებს ინტრიგას ფილას მიერ ახლახან რომში დამტკიცებული ახალი წესებიც სძენს. ძველი წესები ძირეულად შეიცვალა და საკვებით შესაძლებელია, ადრინდელ ყაიდას კარგად მორგებულ მოჭიდავეებს ისეთებმა აჯობონ, ვთქვათ, ჩოქბჯენობის ჟამს ვერც რომ გაეჯიბრებოდნენ. სიახლეების პლუს-მინუსებს პრაქტიკა უკეთ დაგვანახებსო, ამბობენ ჭიდაობაში მოტრიალეები, თუმც გუშინ საღამოს ახალი წესების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბალანსი ალბათ დიდად მაინც არ დარღვეულა. ერთნი იძახდნენ, ჭიდაობა უფრო ლამაზი სანახავი გახდაო, ხოლო მეორენი ბევრ ახალ ნაკლზე მიუთითებდნენ, თან ჩოქბჯენს მისტიროდნენ.

ასეა თუ ისე, სიახლე ქართულ საჭიდაო სამყაროში იმაზე უმტკივნეულოდ ინერგება, ვიდრე გვეგონა. მტკიცებულებად მარტო ისიც იკმარებს, რომ დილის დარბაზში მთელი დღე ჩაჭიდავდა და მსაჯის გადაწყვეტილებას ერთი გაწევ-გამოწევაც არ მოჰყოლია. არადა, რამდენი ასეთი უნახავს ამ დარბაზს.

ჩემპიონატის გასაშუქებლად მისულებს ბევრი რამ გვეუცხოვა. არა გვგონია, ისე განათებული საჭიდაო არენა ჩვენი თაობის ჟურნალისტებს როდესმე ენახოთ. ტრიბუნასა და ხალიჩებს შორის კი დამცავი ხაზი გაეჭიმათ, რომლის იქით მოხვედრაც ყველა მსურველისთვის აუხდენელი ოცნება იყო. დაცვაც საიმედოდ და, რაც მთავარია, თავაზიანად მუშაობდა. ორივე ხალიჩის მიღმა ელექტროტაბლოები იდგა, ხოლო ორთაბრძოლებს ორ-ორი ვიდეოკამერა იღებდა. მგონი, გაუგებრობებისა და ჩხუბის არარსებობის უკეთეს მიზეზს ველარ მოვძებნით, ჰოდა, ჩვენც ჭიდაობებზე გადავერთოთ.

პირველ დღეს ხალიჩაზე 55, 66, 84 და +120-კილოგრამიანები გავიდნენ და საღამოს ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოავლინეს. ამ სახეობისთვის ესეც სიახლეა, აქამდე ხომ კვარცხლბეკამდე მისვლას ორი დღე სჭირდებოდა. დაპირებისამებრ, საქართველოს ნაკრების ყველა წევრმა და კანდიდატმა იჭიდავა ირაკლი ჭოჭუას (55კგ) მანუჩარ კვირკველიასა და მუხრან ვახტანგაძის (84კგ) გარდა. ამ უკანასკნელს მიზანში საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატი ამოუღია, თუმც ალბათ საამისოდ გვარიანი ბრძოლების გადატანა დასჭირდება. ჭოჭუა და კვირკველია კი მშობლიურ წონას გამომშვიდობებიან და ამჯერად ერთით მაღალ კატეგორიაში ეცდებიან დამკვიდრებას.

საქართველოს ჩემპიონისაგან მიტოვებულ 55 კილოგრამში გუშინ ქუთაისელმა მირიან ნიშნიანიძემ იპირველა. მართალია, ფინალში გარდაბნელი ვაჟა ომანიძის დასამარცხებლად ორი პერიოდი იკმარა, მაგრამ ვერაფრით ვიტყვით, მეტოქე დაჩაგრაო. გადამწყვეტი გამოდგა ფრისშემდეგომი „ოქროს ჩაჭიდება“. მესამე საპრიზოები ბორჯომელმა რევაზ ლაშხმა და მოჭიდავეთათვის კიდევ ერთი სიახლის — დამამშვიდებელი ეტაპის გადამლახავმა აჭარელმა გიორგი გვენეტაძემ დაიკავეს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ უკვე აღარც ჯგუფური ეტაპების წესი მოქმედებს. გუშინ სპორტსმენებმა თავიდანვე ოლიმპიური სისტემით დაიწყეს.

66 კილოგრამი აჭარლებისა იყო. არათუ პრიზიორებში, საუკეთესო ექვსეულში ერთადერთი არააჭარელი გამოერია. ქუთაისელმა შმაგი გოქაძემ ფინალს უწია, პირველი პერიოდი იქაც მოიგო მუხრან მაჭუტაძესთან, თუმც მერე ზედიზედ ორი დათმო და ვერცხლს დასჯერდა.

მუხრან ვახტანგაძის წონის ფინალური შეხვედრა გუშინდელი დღის გვირგვინი იყო. 74 კილოგრამში ევროპის ჩემპიონმა ბადრი ხასაიამ სწორედ 84-ში აინაცვლა და ახალ გარემოს ადვილადაც გაუშინაურდა. ფინალამდე საკმაოდ იოლად მივიდა, იქ კი ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონ ვლადიმერ გეგეშიძეს დაეჭიდა. ზუსტად ამ ორპერიოდიანი ბრძოლის შემდეგ მოვისმინეთ აზრი, რომ ფრისშემდგომი შეკვრა არცთუ სამართლიანი გადაწყვეტილება ყოფილა. „არიოლ-რეშკაში“ მოგებულს დაწყებული შეკვრის ილეთით დასასრულებლად ოცდაათი წამი ეძლევა. ამ დროში თუ ქულა ვერ გააკეთა, პერიოდი მოწინააღმდეგისაა. ხასაია — გეგეშიძის ბრძოლის ორივე პერიოდი შეკვრებით ჩამთავრდა. მონეტა ორჯერვე გეგეშიძის ფერზე დაჯდა, თუმც საგარეჯოელმა ჭაბუკმა ქულა ერთხელაც ვერ აიღო და წააგო.

მძიმე წონაში სულ ხუთი მონაწილე მოგროვდა და ოთხი მათგანი შინ მედლით მკერდდამშვენებული გაბრუნდა. წრიული სისტემით ჩაჭიდების შემდეგ ჩემპიონი საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი მირიან გიორგაძე გახდა.

დღეს ხალიჩაზე 60, 74 და 96-კილოგრამიანები გავლენ. ყველა მედალოსნის გამოვლენის შემდეგ კი ერთი უმნიშვნელოვანესი ამბავიც მოხდება — ჭიდაობის ფედერაციის თავკაცები ბერძნულ-რომაულის ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობას გაამხელენ.

ბეგი დარჩიას დარად ამ დღეებში თანამდებობიდან დაუთხოვიათ თავისუფლების მწვრთნელი ზაზა თურმანიძეც და მის შემცვლელს ამ სახეობის ორდღეულის ჩამთავრების შემდეგ გაგვიმხელენ. ერთადერთი, რაც უკვე გადაწყვეტილია, ის არის, რომ ორივე სახეობის თავკაცს კიდევ ერთი უფროსი ეყოლება. ამ საქმიანობას ლერი ხაბელოვის ყოფილი მწვრთნელი ვანო ნიკოლაძე გასწევს. სწორედ მისგან შევეცადეთ დარჩია-თურმანიძის მემკვიდრეების ვინაობის ნაადრევად შეტყობას, თუმც კანდიდატების გამხელისგან თავი შეიკავა, აქაოდა, ჯერ კონკრეტული პასუხი არ ვიციო. კულუარებში კი ყველაზე მეტს კობა ჭიჭეიშვილსა და ზაზა ტყეშელაშვილზე საუბრობენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**55 კგ**
1 მირიან ნიშნიანიძე (ქუთაისი)
2 ვაჟა ომანიძე (გარდაბანი)
3 გიორგი გვენეტაძე (აჭარა)
3 რევაზ ლაშხი (ბორჯომი)

**66 კგ**
1 მუხრან მაჭუტაძე (აჭარა)
2 შმაგი გოქაძე (ქუთაისი)
3 მარად სურმანიძე (აჭარა)
3 დავით შავაძე (აჭარა)

**84 კგ**
1 ბადრი ხასაია (თბილისი)
2 ვლადიმერ გეგეშიძე (საგარეჯო)
3 მიხეილ ქავთარაძე (აჭარა)
3 შალვა გადაბაძე (თბილისი)

**+120 კგ**
1 მირიან გიორგაძე (თბილისი)
2 ოთარ ბოლქვაძე (თბილისი)
3 ზაზა სილაგაძე (თბილისი)
3 ილია სამხარაძე (თბილისი)



## მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. მამაკაცები

ტუნისი. 23 იანვარი - 6 თებერვალი. მეორე ეტაპი

**I ჯგუფი**

სლოვენია 37:29 საბერძნეთი
ტუნისი 36:25 ჩეხეთი
საფრანგეთი 25:22 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 1 | 2 | 0 | 89:78 | 4 |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 78:73 | 4 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 1 | 70:68 | 3 |
| საბერძნეთი | 1 | 1 | 1 | 76:83 | 3 |
| სლოვენია | 1 | 0 | 2 | 90:88 | 2 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 2 | 74:87 | 2 |

**II ჯგუფი**

ესპანეთი 32:28 გერმანია
შვედეთი 26:26 სერბეთი
ნორვეგია 28:25 ხორვატია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 2 | 1 | 0 | 76:74 | 5 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 96:87 | 4 |
| ხორვატია | 2 | 0 | 1 | 86:86 | 4 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 1 | 79:77 | 3 |
| გერმანია | 0 | 1 | 2 | 79:84 | 1 |
| შვედეთი | 0 | 1 | 2 | 79:87 | 1 |

# ბებრებმა კუდი მოიქნიეს

**მეორე** ჯგუფური ეტაპის პირველივე დღეს ორი მოულოდნელი შედეგი აღინიშნა. პირველად დამარცხდნენ საწყისი ხუთივე თამაშის მომგებები, მსოფლიოს ჩემპიონი ხორვატია და ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი რუსეთი. მათ მეტოქეებს — ნორვეგიელ და ფრანგ ხელბურთელებს მხოლოდ თითო ქულა ჰქონდათ და მორიგი მარცხი პლეი ოფის მიღმა დატოვებდა.

საფრანგეთიც და ნორვეგიაც ტურნირის ყველაზე ხანდაზმული გუნდებია (საშუალო ასაკი 28,7 წელი), ამდენად თითქოს უნდა გასჭირვებოდათ გაცილებით ახალგაზრდა კონკურენტებთან გაჯიბრება, მაგრამ ბებრებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს, დაუფასდათ კიდეც და სამედლო შანსიც შეინარჩუნეს.

გამორჩეულად დაძაბულად წარიმართა ნორვეგია — ხორვატიის დაპირისპირება. ხან ერთი მხარე იყო წინ, ხანაც მეორე — ანგარიში 13-ჯერ გაყაიმდა, სხვაობა კი ერთ-ორ გოლს არ ასცილებია. სკანდინაველები წინა პირველობაზე სულაც ვერ მოხვდნენ 24 ნაკრებს შორის, ამჯერად კი თვით მსოფლიოს ჩემპიონები გაამწარეს. ბრძოლის ბედი მატჩის მიწურულს გადაწყდა, როცა ნორვეგიელებმა ხუთ წუთში ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს.

ორ-ორგზის გვირგვინოსანთა, საფრანგეთისა და რუსეთის შეხვედრაში სლავებმა ალექსეი რასტვორცევის ზუსტი ტყორცნით ანგარიში პირველივე წუთზე კი გახსნეს, მაგრამ მერე ზედიზედ სამი ბურთი გაუშვეს ნიკოლა კარაბატიჩისა და უბერებელი ჯექსონ რიჩარდსონისგან — 1:3 და დიდი მონდომების მიუხედავად, ერთხელაც ველარ შეძლეს გათანაბრება. კარაბატიჩმა რვა მიზნიანი ნასროლი მიითვალა, ამდენივე — რუსთა კაპიტანმა ედუარდ კოკშაროვმა. მას 52 გოლი დაუგროვდა და რვით უსწრებს უახლოეს მდევარ ტუნისელ ვისემ ჰმამს.

უსახურად გამოდიან ევროპის ჩემპიონი გერმანია და ერთ დროს უმრისხანესი შვედეთი, სამი ტურის შემდეგ კინკილა ქულა მათთვის კატასტროფას ნიშნავს. სამაგიეროდ, გასაოცარი ალმავლობით იბრძვიან მასპინძლები — ტუნისის ნაკრები ერთადერთია, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა და ყველა დარჩენილი თამაში რომც წააგოს, მაინც წინა პირველობის მე-14 ადგილზე ბევრად უკეთესი შედეგი აქვს გარანტირებული.

**გია ახალაძე**



REUTERS ფოტო

კაპიტნების დუელი: რუსი ედუარდ კოკშაროვი და ფრანგი ჯექსონ რიჩარდსონი

## ინგლისი

**პრემიერლიგა XXV ტური**

ვესტ ბრომვიჩი 2:2 კრ. პალასი
ბოლტონი 3:1 ტოტენჰემი
ჩარლტონი 1:2 ლივერპული
პორტსმუთი 2:1 მიდლსბრო
არსენალი 2:2 მანჩესტერი

**I ლიგა. გადადებული მატჩები**

ჩესტერფილდი 1:1 ჰალი
სტოკპორტი 2:2 ბორნმუთი

**II ლიგა. გადადებული მატჩი**

ჩესტერი 0:3 ჩელტენემი

**კონფერენსლიგა გადადებული მატჩი**

ბარტონი 1:1 ტემუორთი

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი**

ბასტია 1:1 ლიონი

**ლიგის თასი ნახევარფინალი**

სტრასბური 1:0 სენტ ეტიენი

## შოტლანდია

**ლიგის თასი. ნახევარფინალი**

მოზერველი 3:2დ.დ.(2:2) ჰართსი



REUTERS ჩონბურიდან

# ობლებთან

ტაილანდში მყოფი მარტინა ჰინგისი, რომელიც პატაიაზე, ვოლვოს თასზე ითამაშებს, ობოლთა სახლში მისულა და ცხადია, იქ პატარა საჩოგბურთო გაკვეთილიც ჩაუტარებია. ჩონბურის ობოლთა სახლი ბანგკოკიდან 80 კილომეტრშია.

# მოტო-იქს



REUTERS ასპენიდან

მოტო-ექსტრიმის ეს მხედარი დასტინ მილერი ვარჯიშზე ამგვარ რომეებსაც სჩადის. კოლორადოში კი იწყება ზამთრის ექსტრემალური თამაშები, სადაც ნაირგვარი სულისშემძვრელ რამეებს ნახავთ.

# ფეხები და მწვრთნელები

ჰო-ჰო-ჰო! აქ მის გერმანია უნდა გამოვლენილიყო. შეჯიბრის... კომისიაში მიეწვიათ მხცოვანი მწვრთნელი უდო ლატეკი და აწ უმუშევარი ბერტი ფოგთსი, რომლებიც დიდის ყურადღებით იკვლევდნენ, თუ რომელი გოგო სჯობდა რომელს. ამ კაცებს უფრო ფეხბურთელთა დაგრეხილ და ნაიარევ წვივებზე აქვთ თვალი დაჩვეული, მაგრამ ამ ფეხებსაც კარგად ათვალიერებენ. მის გერმანიად კი 19 წლის ანტონია შმიტი შეიქნა.



REUTERS რუსტიდან



REUTERS გაისახიდან

# ბავარიული ციგები

ამ ძველ გერმანულ ციგებს ფრენაც შეძლებიათ. გერმანულს კი არა, ბავარიულს. ასეთ ციგაობაში შეჯიბრს კი შნაბლერენენი ჰქვია და პატარა ქალაქ გაისახის ახლოს იმართება. ნახეთ, ქუდი როგორ გადაძვრა.

# ნაცნობი გემო

ლა კინტაში, კალიფორნიაში ეს წუთია დასრულდა „ბობ ჰოუფ კლასიკი", განთქმული საგოლფე შეჯიბრი. მოგებული ჯასტინ ლეონარდი შეიქნა. პირველი მიმლოცველი კი მისი ცოლი ამანდაა.



REUTERS ლა კინტიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლალო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge